Programmatic Cooperation Framework for
Armenia, Azerbaijan, Georgia, Republic of Moldova, Ukraine and Belarus

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

მომზადებულია პროექტის ფარგლებში

მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში

(სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა)

პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ

ეროვნული ნაწილი

საქართველო

პროექტი „მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა)“ არის თანამშრომლობითი რეგიონული ინიციატივა ევროპის საბჭოსა და ევროკავშირს შორის 2015-2016 წლებში პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩოს ფარგლებში. პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო დანერგილია ევროპის საბჭოს მიერ და ფინანსური მხარდაჭერა აქვს ამავე ორგანიზაციისა და ევროკავშირისგან.

პროექტის მიზანია ამოიცნოს ის ბარიერები, რომლებიც მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობას უდგას წინ, და ხელი შეუწყოს მათ გადალახვას. ამავდროულად პროექტი ხელს უწყობს მონაწილე ქვეყნების პოტენციალის გაზრდას ისეთი ღონისძიებების გატარებაში, რომლებიც მართლმსაჯულების ჯაჭვის გენდერული მგრძნობელობის გარანტია. პროექტის ფოკუსი სამართლის კონსულტანტების ტრენინგია.

გამოქვეყნებულია კვლევა *აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის ბარიერების, დაცვის საშუალებებისა და კარგი პრაქტიკების შესახებ,* რეგიონულმა კონფერენციებმა თავი მოუყარა ექსპერტებს გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკების გასაცვლელად. მოეწყო ეროვნული სატრენინგო სემინარები მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის ადგილობრივი ტრენინგ ცენტრებისა და სამართლებრივ ინსტიტუციებთან თანამშრომლობით.

ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის *მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ* შეიქმნა პროექტის ფარგლებში საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ჯგუფის მიერ. ის შეიცავს ზოგად ნაწილს და ეროვნულ ნაწილს, რომელიც შეესაბამება კონკრეტული ქვეყნის გამოწვევებს.

მოსაზრებები, რომლებიც გამოხატულია სახელმძღვანელოში, ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და არ ასახავს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას. ამონარიდების გავრცელება ამ დოკუმენტიდან ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი წყარო სათანადოდაა დაფიქსირებული.

ბიოგრაფიები

მაია ბაქრაძე – იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოწვეული ტრენერი კურსისთვის - მართლმსაჯულების გაძლიერება გენდერული თანასწორობის გზით. არის საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრის ტრენერი, თანაავტორი წიგნისა „პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლეებისათვის". საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი 2016 წლიდან, კერძო სამართლის მიმართულებით. უძღვება კურსს სამოქალაქო საპროცესო სამართალი. საქართველოს მოსამართლეთა ასოციაციის „მოსამართლეთა ერთობის" თავმჯდომარე. აქვს ადვოკატად მუშაობის 6 და მოსამართლედ მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება. საკანონმდებლო საკითხებზე მუშაობის, ასევე ზრდასრულთა ტრენინგების და სალექციო კურსების მომზადების, ჩატარების, ადამიანური რესურსების, პროექტების მართვის, მართლმსაჯულების ადმინისტრირების საკითხებზე მუშაობის გამოცდილება. აქვს მიღებული სამართალმცოდნის მაგისტრის აკადემიური ხარისხი წარჩინებით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ.

მაია კვირიკაშვილი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსი საქართველოს მთავარ პროკურატურაში. აქვს პროკურორად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება იმავე დეპარტამენტსა და რაიონულ პროკურატურაში, არის მოწვეული ლექტორი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის იურისპრუდენციის დოქტორის გათანაბრებული ხარისხის მფლობელი. აქვს სამართალმცოდნის მაგისტრის აკადემიური ხარისხი კანონის უზენაესობის განვითარებაში მინიჭებული ლოიოლას უნივერსიტეტი ჩიკაგოს სამართლის სკოლის მიერ.

ნათია მერებაშვილი – საქართველოს მთავარი პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი. არის მოქმედი ტრენერი - პროკურორი ოჯახურ ძალადობაზე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე, სისხლის სამართლის პროცესსა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაზე. მას აქვს საერთაშორისო ექსპერტის გამოცდილება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე. აქვს პროკურორად მუშაობის 10 წლიანი გამოცდილება პროკურატურის სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში. აქვს ლექტორობის გამოცდილება სისხლის სამართლის პროცესის მიმართულებით. ფლობს მაგისტრის აკადემიურ ხარისხს სამართალმცოდნეობაში მინიჭებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

სარჩევი

გენდერული ნიშნით მიკერძოების აღმოჩენა 6

ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა 9

ქალთა სამუშაო უფლებები 14

ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პროკურტურასა და საერთო სასამართლოებში 20

ქალთა უფლებები ოჯახში 21

რეპროდუქციულ ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეპტივები 23

სქესის შერჩევა დაბადებამდე 24

სამედიცინო კონფიდენციალურობა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე 26

ქალთა მიმართ ძალადობის სოციალური, კრიმინოლოგიური და პროცედურული ასპექტები 27

ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები 27

ოჯახური ძალადობა 28

ეროვნული კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის შესახებ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლების დეტალური განხილვა; საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება) 28

ოჯახური ძალადობის თვისებურებები და ფორმები საქართველოში; 30

ოჯახური ძალადობა, როგორც დანაშაული – წლიური სტატისტიკა და შედარებითი ანალიზი (მისი კოეფიციენტი და დინამიკა , ძირითადი ფორმები და მიზეზები, დამნაშავისა და მსხვერლის ძირითადი თვისებები, სანქციები, რისკჯგუფების იდენტიფიცირება და ა.შ.); 30

ფსიქოლოგიური და სისტემატური ძალადობის იდენტიფიცირების და დევნის წარმოების სირთულეები; მტკიცებულებათა მოპოვების,მსხვერპლთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის და გამოძიებასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია 31

ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიებების და სანქციების გამოყენების შესახებ 35

სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, სექსუალური შევიწროვება 37

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – (137–141 მუხლები) დანაშაული სექსუალური თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ 16 წელს მიუღწეველებისადმი . კანონდებლობის ხარვეზები და ცვლილებების საჭიროება 37

დანაშაულები გენდერული ნიშნით.....40

იძულებითი ქორწინება (მუხლი 1501).....50

ქალთა თავის დაცვის უფლება მათ მიმართ განხორციელებული ძალადობისგან.....51

მსხვერპლის აუცილებელი მოგერიების უფლება.....51

მსხვერპლის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის სამართლებრივი მექანიზმები.....53

დაკავებულ ქალთა უფლებები/ ბრალდებული ქალები 55

1. საპოლიციო კონტროლის/ ღონისძებების განხორციელება მდედრობითი სქესის მოქალაქეებთან მიმართებაში.....55

2. ადმინისტრაციული დაკავების წესი და სახდელის დაკისრება ქალი სამართალდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით.....55

3. ქალ ბრალდებულები და მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების თავისებურებანი.....56

4. ქალი მსაჯვრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურება.....57

5. ქალი მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდის თავისებურებანი.....58

6. პატიმარი ქალები - ფსიქოლოგიური პორტრეტი და არსებული სტერეოტიპები.....59

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ქალები 59

ტრეფიკინგის კრიმინოლოგიური ასპექტები.....59

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- დანაშაული ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით.....60

ტრეფიკინგის ფაქტების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებანი.....62

წარმოდგენილი თავი აღწერს საქართველოში ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის არსებულ პრობლემებს, მათი გამოვლენის და აღმოფხვრის გზებს. იგი მოიცავს სამართლებრივი საფუძვლების მიმოხილვას, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ქალთა უფლებების ეფექტური დაცვა და მათი ხელშეწყობა მართლმსაჯულების ორგანოებისადმი მიმართვიანობის გაზრდაში. ამ თავში სიტემურად დალაგებული და გაანალიზებულია ის სფეროები, სადაც შესაძლებელია ადგილი ქონდეს ქალთა უფლებების დარღვევას. ყურადღება გამახვილებულია პროკურორების, გამომძიებელების და მოსამართლეების როლზე მართლმსაჯულებისადმი ქალთა მიმართვიანობის გაზრდაში, როგორ შეიძლება ეფექტურად გამოიყენონ მათ ხელთ არსებული ბერკეტები, რათა სამართლებრივი ხარვეზების შემთხვევაშიც კი უზრუნველყოფილი იყოს ქალთა დაცვის მექანიზმები და არ დარჩნენ დაუცველები. ამავე თავში მიმოხილულია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპების აღმოჩენის და მათ მიმართ ბრძოლის ერთგვარი რეკომენდაციები. წარმოდგენილი თავი იზიარებს სრულად ამავე სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილის სულისკვეთებას, მასში აღწერილი საერთაშორისო სტანდარტების და მიდგომების უალტერნატივობას და გარკვეულ მიდგომებს თავაზობს მოსამართლეებს, პროკურორებს და მათ ტრენერებს, რათა ხარვეზები კანონმდებლობაში, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების განსხვავებული შეხედულებები, სტერეოტიპები, დამკვიდრებული ისტურიულ–კულტურული ტრადიციები არ იქნეს აღქმული და გამნოყენებული საქართველოში ქალთა ადმიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების გამოუყენებლობის მიზეზად. სახელმძღვანელოს ძირითადი ნაწილის და წინამდებარე თავის ერთობლიობაში გამოყენება და სახელმძღვანელოდ შერჩევა გააქტიურებს პროკურორებს და მოსამართლეებს, გაზრდის მათ მგრძნობელობას ქალთა უფლებების დარღვევის ფაქტების მიმართ, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაზრდას.

გენდერული ნიშნით მიკერძოების აღმოჩენა

გენდერული ბალანსის დაცვისადმი ინტერესი საქართველოში ოდითგანვე არსებობდა და დროთა განმავლობაში მეტ აქტუალობასაც იძენდა. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სამართლებრივად არ იყო დეკლარირებული ისეთი პრინციპები, როგორებიცაა თანასწორობა, სქესის მიუხედავად თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა, აზრის თავისუფალი გამოხატვა და ა.შ. საქართველოში ამ უფლებებისთვის მებრძოლი ქალები არსებობდნენ. XIX-XX საუკუნეებში გამოჩნდნენ ქალები, რომლებიც თვლიდნენ, რომ მამაკაცების მსგავსად, მათაც შეეძლოთ აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი საზოგადო საქმიანობაში. ამ ქალებმა შეძლეს დაპირისპირებოდნენ სტერეოტიპულ წარმოდგენებს[1] .

[1] ბარბარე ჯორჯაძე, კატო მიქელაძე, ბარბარე სულხანიშვილი, ნინო ნადირაძე და მათი თანამებრძოლები წარმოადგენდნენ იმდროინდელი საქართველოს ფემინისტურად განწყობილი საზოგადოების აქტივისტებს. არაერთგვაროვანი მოსაზრებების და

ქალთა აქტიურ როლზე სასაუბაროდ და ფემინიზმის მხარდასაჭერად ჯერ კიდევ 1917–1918 წლებში გამოიოდა გაზეთი „ხმა ქართველი ქალისა“, რომლის ფურცლებზეც საზოგადოების არაერთგვაროვანი განწყობის მიუხედავად განიხილებოდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა ქალთა როლი ოჯახში, პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათი თანასწორობა მამაკაცებთან. გაზეთის ფურცლებზე ასევე იბეჭდებოდა მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენები. ქართველი ფემინისტები თვალყურს ადევნებდნენ გენდერული თანასწორობისთვის ბრძოლას, თანადგომას უცხადებდნენ ქალებს მსოფლიო მასშტაბით, გაზეთის რამდენიმე ნომრის პირველ გვერდზე ადგილი ეთმობოდა ფრაზას – „გაუმარჯოს საერთაშორისო ქალთა სოლიდარობას“. ქალთა ამ აქტივობას იმ დროს არაერთი მომხრე, თუმცა ბევრი მოწინააღმდეგეც ყავდა.

1991 წლის 9 აპრილიდან, საქართელოს მიერ დამოუკიდებლობის გაცხადების შემდეგ, გარდამავალ პერიოდში, წინა პლანზე წამოიწია ქალთა უფლებების დამცველი ნორმების სამართლებრივი იმპლემენტაციის საკითხებმა. ქართული სახელმწიფო 1990-იანი წლებიდანვე შეუერთდა საერთაშორისო კონვენციებსა და ხელშეკრულებებს, 1994 წლის 24 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის ბრძანებულებით, ქვეყანა შეუერთდა კონვენციას „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომელიც ძალაში 25 ნოემბრიდან შევიდა ამ მოვლენამ უზრუნველყო ქალთა უფლებათა დამცველთა, არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ კანონმდებლების აქტიურობა, გაეუმჯობესებინათ ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში და აემაღლებინათ მათი ცნობიერება ამ თვალსაზრისით. მიუხედავად არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა, ცხადია, მხოლოდ საკანომდებლო დონეზე უფლებათა დაცვის დეკლარირება, არასაკმარისი ღონისძიებაა მათი რეალური დაცვისთვის.

საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დღესაც ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება გენდერული თანასწორობის მიღწევა. მიუხედავად სამართლებრივი ბაზის ეტაპობრივი სრულყოფისა, საზოგადოებრივი დამოკიდებულებები კვლავ აბრკოლებს ქალთა მიერ საკუთარი სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური უფლებების დაცვაში აქტიურობას და არსებული ნორმატიული ბაზის ეფექტიან გამოყენებას.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი, როგორც 2006 წლის, ასევე 2014 წლის შენიშვნებში შეშფოთებით აღნიშნავს ქართულ საზოგადოებაში ქალისა და მამაკაცის როლის შესახებ პატრიარქალური დამოკიდებულებებისა და სტერეოტიპების სიმძლავრეს. სიტუაცია, საზოგადოებრივი ცნობიერების მდგომარეობის მიხედვით კვლავ

იმდროინდელი მოაზროვნების წინააღმდეგობის გამო, ქალები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ვინაობის გამხელის გარეშე, ფსევდონიმის ქვეშ გამოხატავდნენ თავიანთ ლიბერალურ დამოკიდებულებებს და ერთმანეთისადმი თანადგომას.
წყარო: http://www.feminizmi.org/project/teonagelashvili/

არასახარბიელოა, თუმცა აღნიშნულია საზოგადოებრივი, საერთაშორისო ორგანიზაციების და სახელმწიფოს ძალისხმევა, არსებული სტერეოტიპების დაძლევის მიმართულებით[2]

არსებული მდგომარეობის ნათელი სურათია „საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში“ - კვლევის ანგარიშში მოცემული შედეგები. კვლევა აჩვენებს, რომ წარმოდგენები ოჯახში ქალისა და კაცის ფუნქცია-მოვალეობებთან დაკავშირებით საკმაოდ ტრადიციულია. ქართულ საზოგადოებას ახასიათებს გარკვეული ოჯახური იერარქია და სუბორდინაცია ოჯახის წევრებს შორის, რომელიც ქალისა და კაცის როლებზე სტერეოტიპულ, ტრადიციულ და, ხშირ შემთხვევაში, პატრიარქალურ წარმოდგენებს ეფუძნება. ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენა, რომელიც ფუნდამენტურად შეიძლება მოვიაზროთ ქართული ოჯახისთვის, ეხება კაცის, როგორც ძირითადი შემომტანის, მარჩენალის როლს.

მიიჩნევა, რომ კაცი უნდა იყოს ოჯახის უფროსი და საკუთარ თავზე აიღოს ოჯახის კეთილდღეობაზე ზრუნვა ფინანსური თვალსაზრისით. მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, იდეალურ შემთხვევაში ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს (88 %), მაშინ, როდესაც მოსახლეობის მხოლოდ 1% თვლის, რომ ეს ფუნქცია ქალმა უნდა შეითავსოს. 11% მიიჩნევს, რომ მამაკაცსა და ქალს თანაბრად უნდა შეჰქონდეთ წვლილი ოჯახის რჩენაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული განსხვავება არ არის ქალაქის და სოფლის ტიპის დასახლებებს შორის. ქალაქის მოსახლეობის 86%, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებების 90% მიიჩნევს, რომ ოჯახის მარჩენალი კაცი უნდა იყოს. თუმცა, საინტერესოა, რომ რეალობის შეფასებისას გამოკითხულები აფიქსირებენ, რომ საქართველოს ოჯახებში სიტუაცია მათი წარმოდგენილი იდეალისგან განსხვავდება - კვლევის მონაწილეების 34% თვლის, რომ საქართველოს ოჯახებში დღესდღეობით ოჯახის მარჩენალი ქალია. საქართველოში ოჯახი არის ის ექსკლუზიური სფერო, სადაც აუცილებელია მოხდეს ქალის თვითრეალიზაცია მის მიერ ოჯახის დიასახლისისა და დედის როლის შეთავსების შედეგად. ქალისათვის ოჯახის მნიშვნელობა ცხადი ხდება, უმრავლესობის (61%) მოსაზრებით იმის თაობაზე, რომ ქალი უმეტესად ბავშვის გაზრდითა და სახლის მოვლით უნდა იყოს დაკავებული და არა პროფესიული წინსვლით. ამ მოსაზრებას უმეტესწილად მამაკაცები იზიარებენ - 72% ვიდრე ქალები - 52%. გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი (92%) იზიარებს მოსაზრებას, რომ ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი ცხოვრებაში არის ოჯახზე ზრუნვა. აღნიშნულ დებულებას ეთანხმება ან სრულიად ეთანხმება ქალების 91% და მამაკაცების 93%. გამოკითხულთა 79 % მოსაზრებით, ქალი უფრო მეტად ოჯახით ფასობს, ვიდრე სამსახურში წარმატებით. გამოკითხულთა უმრავლესობა (66%) ეთანხმება დებულებას, რომ ყველასთვის უმჯობესია, როცა კაცი მუშაობს, ხოლო ქალი სახლს უვლის. ამ შემთხვევაშიც უფრო მეტი კაცი (73%), ვიდრე ქალი (61%) იზიარებს ამ თვალსაზრისს. გამოკითხულთა უმრავლესობა (72%) თვლის, რომ კაცის

[2] Consideration of Initial Report Submitted by States Parties under Article 18 of the Convention on the Elimination of All Forms of Discrimination against Women

საქმეა მუშაობა და ოჯახის შემოსავლით უზრუნველყოფა, ხოლო ქალის მოვალეობაა სახლის და ოჯახის მოვლა. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს ქალების 66%, ხოლო მამაკაცების 80%. როგორც კვლევის შედეგები ცხადყოფს, ქართული ტრადიციული აღქმები და ჩვეულებები ქართველ ქალს ხატავს როგორც მორჩილ ცოლს, დიასახლისსა და დედას. **ქალის სამსახური და კარიერა ნაკლებად მნიშვნელოვნად ითვლება. მოიაზრება, რომ ქალის სრული რეალიზაცია შესაძლებელია მოხდეს მხოლოდ მის მიერ ოჯახის შექმნის და მეუღლისა და დედის როლის შეთავსების შედეგად, მაშინ, როდესაც კაცის შემთხვევაში კარიერა და ოჯახი ან ერთნაირად მნიშვნელოვანია ან კარიერას უპირატესობა აქვს.** შესაბამისად, სოციალურ დონეზე ქალს მოეთხოვება, რომ კაცის მორჩილი იყოს, მისი სურვილის შესაბამისად მოიქცეს და საკუთარი სურვილები და მოთხოვნილებები უკანა პლანზე გადაწიოს. ამგვარი აღქმები დამახასიათებელია კაცის მიერ დომინირებულ, პარტიარქალურ საზოგადოებისთვის. შესაბამისად, ქალთა გასაძლიერებლად და თავიანთი უფლებების სრულად რეალიზაციისთვის გასამხნევებლად მნიშვნელოვანია მათ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ცნობიერების ამაღლება. აუცილებელია უშუალოდ ქალებისათვის თვითშეფასების, საკუთარი შესაძლობლობების რწმენის მნიშვნელოვანი ამაღლება, მათი მოტივირება. კიდევ უფრო რთულია გამოწვევები, რომელიც სტერეოტიპებისა და მანკიერი ტრადიციული დამოკიდებულებების აღმოფხვრას უკავშირდება. [3] აღნიშნულ მიდგომებს და დამოკიდებულებებს თავისთავად ცხადია დიდი გავლენა აქვთ ქალთა აქტივობაზე. ჯერ კიდევ პრობლემურად ითვლება ქალთა მიერ მართლმსაჯულების ორგანოებისთვის მიმართვა პირადი უსაფრთხოების, ქონებრივი და არაქონებრივი, შრომითი უფლებების დაცვის მიზნით. მიუხედავად ტენდენციის გაუმჯობესებისა, ქალები ჯერ კიდევ ერიდებიან მიმართონ საჩივრები საკუთარი ძმების, მამების, ქმრების, უშუალო ხელმძღვანელების მიმართ.

საზოგადოებრივი დამოკიდებულებების შესაცვლელად, სტერეოტიპების დასამსხვრევად და ქალთა გასამხნევებლად, მნიშვნელოვანი როლი უკავიათ საჯარო მოხელეებს, მართლმსაჯულების განმახორციელებელ პირებს, მასწავლებლებს, აღმზრდელებს, უფლებადამცველებს, ჟურნლისტებს. მოსამართლეთა და პროკურორთა ქცევა, მათ მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, მოქალაქეთა სექსისტურ და სტერეოტიპულ გამონათქვამებზე ადეკვატური რეაგირება, მიუკერძოებლობის დაცვა და მართლმსაჯულებისადმი ნდობის გაძლიერება.

ეროვნული კანონმდებლობის ზოგადი მიმოხილვა

საქართველოს კონსტიუციის მე–14 მუხლის მიხედვით, „ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა,

[3] http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

საცხოვრებელი ადგილისა“. 2008 წელს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა კონსტიტუციის მითითებული ნორმა, როგორც „ფუძემდებლური კონსტიტუციური ნორმა–პრინციპი“. saqarTvelos konstituciis me-14 muxli adgens ara mxolod kanonis winaSe Tanasworobis ZiriTad uflebas, aramed kanonis winaSe Tanasworobis fundamentur konstituciur princips. misi mizania, uzrunvelyos Tanasworoba kanonis winaSe, ar dauSvas arsebiTad Tanasworis ganxilva uTanasworod an piriqiT. am muxlSi arsebuli niSnebis CamonaTvali, erTi SexedviT, gramatikuli TvalsazrisiT, amomwuravia, magram normis mizani gacilebiT ufro masStaburia, vidre mxolod masSi arsebuli SezRuduli CamonaTvalis mixedviT diskriminaciis akrZalva... ... mxolod viwro gramatikuli ganmarteba gamofitavda saqarTvelos konstituciis me-14 muxls da daakninebda mis mniSvnelobas konstituciursamarTlebriv sivrceSi.“[4]

საქართველოს კონსტიტუციის 30–ე მუხლის მე–4 ნაწილით შრომითი უფლებების დაცვა, შრომის სამართლიანი ანაზღაურება და უსაფრთხო, ჯანსაღი პირობები, არასრულწლოვნისა და ქალის შრომის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით. აღნიშნული ნორმა ერთმნიშვნელოვნად უთითებს ორგანული კანონით ქალთა შრომითი უფლებების განსაკუთრებულად განსაზღვრის შესახებ სახელმწიფოს ვალდებულებაზე. ეს კონტექსტი ერთადერთია, რომელშიც ქვეყნის ძირითადი კანონი მოიხსენიებს „ქალს“.

კონსტიტუციის 36–ე მუხლი უზრუნველყოფს ქორწინების ნებაყოფლობითობას და მეუღლეთა თანასწორობას, დედათა და ბავშვთა უფლებების კანონის საფუძველზე დაცვას.

2010 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“. კანონი ადგენს ქალის და მამაკაცის კონსტიუტციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების თავისუფლებების და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს. [5]

კანონის მნიშვნელოვანი დებულებაა „გენდერის“ და „გენდერული თანასწორობის“ დეფინიციის განსაზღვრა [6] და სახელმწიფოს დავალდებულება, ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში [7] . კანონის ცალკეული მუხლები ეთმობა გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით თანაბარი უფლებების განსაზღვრას კონკრეტულ სფეროებში, როგორებიცაა, შრომითი ურთიერთობები, განათლება და

[4] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება 2008 წლის 31 მარტი 2/1–392 http://constcourt.ge/ge/legal-acts/judgments/saqartvelos-moqalaqe-shota-beridze-da-sxvebi-saqartvelos-parlamentis-winaagmdeg-460.page

[5] კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 1

[6] კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 3

[7] კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 4

მეცნიერება, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, საოჯახო ურთიერთობები, საარჩევნო უფლებები და გარანტიები[8].

გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველსაყოფად, კანონის მიხედვით, იქმნება გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო წარმოადგენს პარლამენტს გენდერულ საკითხებში საერთაშორისო ურთიერთობებში, შეიმუშავებს გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმას, წარუდგენს მას პარლმენტს დასამტკიცებლად და მონიტორინგს უწევს მის განხორციელებას. გენდერული თანასწორობის საბჭოები იქმნება ავტონომიურ დონეზე, უმაღლესი წარმომადგენლობითო ორგანოს მხრივ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. კანონის მიხედვით, გენდერული თანასწორობის დაცვას მონიტორინგს უწევს სახალხო დამცველიც. „გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონის მნიშვნელოვანი დანაწესია გენდერულ საკითხებთან დაკავშირებულ სტატისტიკაში სქესის ნიშნით გნსხვავებული მონაცემების დაფიქსირების შემოღება[9]. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური[10] უზრუნველყოფს სქესის მიხედვით სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვას, დესდღეობით კვლავ პრობლემად რჩება სხვა უწყებების მიერ ამგვარად დამუშავებული მონაცემების გამოქვეყნება.

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ კანონი არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ინდივიდმა დაიცვას თავის უფლება, თუმცა ასეთი შესაძლებლობა უზრუნველყოფილია საქართველოს კანონით „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც საქართველოში მიღებულია 2014 წლის 2 მაისს. აღნიშნული კანონის მიზანია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრა. იგი თანაბრად ზღუდავს საჯრო თუ კერძო დაწესებულებებს, სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის სტრუქტურებს, კონკრეტული პირის მიმართ არათანასწორ მოპყრობაში. ნიშნების ჩამონათვალში პირდაპირ მითითებულია სქესი და გენდერული იდენტობა.[11] კანონის ღირებულებას წარმოადგენს ასევე ცალსახა აღნიშვნა იმისა, რომ დროებითი ღონისძიებები, რომლებიც შემუშავებულია თანასწორობის წასახალისებლად ან მისაღწევად, განსაკუთრებით გენდერულ, ორსულობისა და დედობის საკითხებში, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ არ ჩაითვლება დისკრიმინაციად[12]. მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი არაერთხელ იქნა მოხსენიებული სხვადასხვა ანგარიშებსა და

[8] კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლები 6–11
[9] კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“ მუხლი 5
[10] საქართველოში სტატისტიკურ საქმიანობას დამოუკიდებელი სტრუქტურა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) საერთაშორისო მეთოდოლოგიისა და სტანდარტების გათვალისწინებით ახორციელებს. მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ბაზას 2009 წლის 11 დეკემბრიდან წარმოადგენს საქართველოს კანონი "ოფიციალური სტატისტიკის შესახებ". ინფორმაცია ხელმისახვდომია http://www.geostat.ge/?action=page&p_id=28&lang=geo
[11] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, მუხლი 1
[12] დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი, მუხლი 2.7

რეკომენდაციებში, კანონში პირდაპირი მითითება, გაცილებით ეფექტურად უზრუნველყოფს სხვადასხვა სფეროებში ქალებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მიმართ თანასწორობის უზრუნველმყოფი, დროებითი ღონისძიებების გამოყენებას. ამ ფარგლებში შესაძლებელია გარკვეული საგამონაკლისო ნორმების შემოღებაც, რომლებიც ერთი მხრივ, წაახალისებს ქალთა აქტივობას საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით, ხოლო მეორე მხრივ გაამარტივებს მათთვის სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურებს.

ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე უფლების დაცვის მიზნით, პირს აქვს უფლება აირჩიოს სახალხო დამცველისთვის, ან სასამართლოსთვის მიმართვის გზა. ამ მიზნით, 2014 წლის ნოემბერში, სახალხო დამცველის აპარატში თანასწორობის დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება დისკრიმინაციული საქმეების განხილვაა.

კანონი ყველა დაწესებულებას ავალდებულებს თავისი საქმიანობა და შიდა რეგულაციები კანონთან შესაბამისობაში მოიყვანოს. თუმცა, არ არსებობს მავლდებულებელი მექანიზმი და დაწესებულებების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული გასცემენ თუ არა ინფორმაციას სახალხო დამცველის მოთხოვნის საფუძველზე. მათ ვალდებულების შეუსრულებლობისთვის პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, რაც საქმეების განხილვას აფერხებს. სახალხო დამცველს ინფორმაციის გამოთხოვისას არ გააჩნია სანქციის გამოყენების ბერკეტი იმ კერძო კომპანიების მიმართ, რომლებიც არ ითანამშრომლებენ სახალხო დამცველთან. ამ შესაძლებლობის არარასებობა კი უკვე ხელს უშლის საქმის წარმოებას, რომ დადგინდეს ფაქტობრივი გარემოებები დისკრიმინაციის შესახებ.

დღეს მოქმედი წესებით, სასამართლოში მიმართვის ვადა დისკრიმინაციის შემთხვევებზე 3 თვით განისაზღვრება. ამასთან, კანონის თანახმად, მას შემდეგ, რაც მომჩივანი სასამართლოს მიმართავს, სახალხო დამცველი იძულებულია საქმის წარმოება შეაჩეროს. შეჩერება პირობით ხასიათს ატარებს, ვინაიდან, კანონის მიხედვით, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება სახალხო დამცველთან შეჩერებული საქმის შეწყვეტის საფუძველია. პრაქტიკულად, სახალხო დამცველისთვის მიმართვის შემთხვევაში, თუკი საქმის განხილვა 3 თვეში ვერ მოხერხდა პირი კარგავს სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას, რაც დაცვის მექანიზმის არაეფექტურობაზე მეტყველებს. მნიშვნელოვანია, თუკი კანონდმებელი გაითვალისწინებს ამ გარემოებას და შეიმუშავებს ცვლილებას, რომლის მიხედვითაც სახალხო დამცველისთვის მიმართვა შეაჩერებს სასამართლოსთვის მიმართვის ვადას.
სასამართლო პრაქტიკა ანტიდისკრიმინაციული კანონის საფუძველზე სქესის ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევის დადგენის შესახებ საკმაოდ მწირია , თუმცა სახალხო დამცველის პრაქტიკა ამ კუთხით არსებობს.

ერთ-ერთი საქმე, რაზეც სახალხო დამცველმა გადაწყვეტილება გამოიტანა “საქართველოს ბანკის” სექსისტური რეკლამის წინააღმდეგ კავშირი “საფარის” საჩივარს გენდერული ნიშნით

დისკრიმინაციიის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ სახალხო დამცველს სთხოვა ზოგადი რეკომენდაცია გაეცა სექსისტურ რეკლამებთან დაკავშირებით. სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ რეკლამა ნამდვილად იყო დისკრიმინაციული და რეკომენდაციით მიმართა 'საქართველოს ბანკს". რეკლამის ილუსტრაციაში ჩანს, რომ ქალი ქმარს სთხოვს 100 ლარს, შემდეგ კიდევ 20 ლარს, რეკლამის ბოლოს კი ჩანს რომ მისი ქმარი ბანკომატთან არის გაიგივებული. რეკლამის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ ქალი მატერიალურად სრულად დამოკიდებულია მამაკაცზე და არ გააჩნია საკუთარი შემოსავალი. იმის გათვალისწინებით რომ სარეკლამო რგოლებს შეუძლია ითამაშოს პოზიტიური როლი სტერეტოპების დასამსხვრევად და ხელი შეუწყოს საქართველოში გენდერული თანასწორობის გაზრდას, ქალთა მიმართ ძალადობის შემცირებას და ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას, სახალხო დამცველი მოუწოდებს სს „საქართველოს ბანკს", რომელიც მაღალი რეიტინგით სარგებლობს საზოგადოებაში, მომავალში თავი შეიკავოს მსგავსი ხასიათის სექსისტური შინაარსის შემცველი სარეკლამო რგოლების დამზადება– გავრცელებისგან და სარეკლამო რგოლების მომზადების დროს მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ქალის ღირსებისადმი პატივისცემას და მის წარმოჩენას მამაკაცის თანასწორად.13

მორიგი საქმე, რომლის მიხედვითაც საქართველოს სახალხო დამცველმა ზოგადი რეკომენდაციით მიმართვის გადაწყვეტილება მიიღო ეხებოდა არასამთავრობო ორგანიზაცია ' კონსტიტუციის 42–ე მუხლის" საჩივარს დასაქმების ინტენეტ სააგენტოს მიმართ. ორგანიზაციის კვლევი მიხედვით, სააგენტოს მიერ, საკვლევ პერიოდში სულ განთავსდა 71 360 ვაკანსია, რომელთა 10.01% გამოირჩეოდა მდედრობით სქესზე ორიენტირებული ენის გამოყენებით, ხოლო მამაკაცებზე – 24.02%. უფრო კონკრეტულად, ვებ გვერდზე www.jobs.ge გამოქვეყნებული ვაკანსიებში სიტყვა „მამაკაცი" გამოყენებულია 1088–ჯერ, ფრაზა „სასიამოვნო გარეგნობა" 1589–ჯერ, სიტყვა „სტაბილური" 780–ჯერ, ხოლო სიტყვა ქალბატონი – 607–ჯერ. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ „დროთა განმავლობაში ქალისა და მამაკაცის როლის გათანაბრებასთან ერთად თანდათან ქრება განსხვავება ქალისა თუ მამაკაცის მიერ შესასრულებელ სამუშაოებს შორის და ქალები მეტ-ნაკლებად ემანსიპირებულნი არიან შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში, თუმცა დამსაქმებლებს კვლავ აქვთ სტერეოტიპული შეხედულებები ამა თუ იმ სამსახურისადმი გენდერული კუთვნილების თაობაზე, რაც იწვევს წინასახელშეკრულებო ეტაპზე დისკრიმინაციული პრაქტიკის ჩამოყალიბებას. ქართულ რეალობაში ხშირია მკვეთრი მიდგომა, თუ რა სახის სამუშაო უნდა შეასრულოს „ქალმა", „კაცმა", „სასიამოვნო გარეგნობის" მქონემ. ის წარმოდგენები, რაც დამსაქმებლებს გააჩნიათ გენდერულ როლებთან დაკავშირებით, ხშირ შემთხვევაში იწვევს ვაკანსიების შესახებ განცხადების დისკრიმინაციული შინაარსის ტექსტის შემუშავებას და სამსახურში სწორედ დისკრიმინაციული მოტივებით აყვანას". სახალხო დამცველის მოსაზრებით, იმის გამო რომ სააგენტოს მიერ არ ხდებოდა

[13] http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2164.pdf სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება საქართველოს ბანკს 2014 წ.

დისკრიმინაციული სიტყვების შემცველი ვაკანსიების ფილტრაცია, ერთი მხრივ, დამსაქმებლები არაფრით იყვნენ შეზღუდული დისკრიმინაციული განცხადების გავრცელების მეშვეობით დასაქმების ეტაპზე დისკრიმინაციის განხრციელებაში, ხოლო მეორე მხრივ ამ განცხადებების გავრცელებით,
სააგენტო დისკრიმინაციული პრაქტიკის ტირაჟირებას ახორციელებდა, რაც დისკრიმინაციის ხელშეწყობასად შეფასდა.[14]

მნიშვნელოვანი იქნება თუკი სასამართლოში ან საგამოძიებო ორგანოებში ნებისმიერი საქმის განხილვისას, მოსამართლეები გამომძიებლები და პროკურორები რეაგირების გარეშე არ დატოვებენ დისკრიმინაციულ, სექსისტურ გამონათქვამებს და მიუთითებენ მხარეებს ამის თაობაზე.
კარგ პრაქტიკად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ სოციალური ქსელებით უფლებადამცველთა მიერ გამჟღავნებული ინფორმაციების თანახმად, ფიქსირდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლეები პროცესის მიმდინარეობისას ცდილობენ რეაგირება იქონიონ მსგავს გამონათქვამებზე, მიუხედავად იმისა, შეეხება თუ არა თავად დავის საგანი გენდერული ნიშნით შევიწროვების შემთხვევებს.

ქალთა სამუშაო უფლებები

საქართველოს კანონმდებლობა შრომით ურთიერთობებს ძირითადად აწესრიგებს ორი საკანონმდებლო აქტით, შრომის კოდექსით და კანონით საჯარო სამსახურის შესახებ. საქართველოს შრომის კოდექსი ორგანული კანონია, რომელიც აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებებით.[15] კანონი 'საჯარო სამსახურის შესახებ" ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.[16]
ძირითადი გარანტიები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავენ დასაქმებულთა სამართლებრივ მდგომარეობას თავმოყრილია შრომის კოდექსში. "საჯარო სამსახურის შესახებ" კანონი შეიცავს სპეციალურ ბლანკეტურ ნორმას რომლის მიხედვითაც, შრომის კანონმდებლობა საჯარო ურთიერთობებზე ვრცელდება ამ კანონით განსაზღვრულ თავისებურებათა გათვლისწინებით.
შრომის კოდექსი კრძალავს ზეგანაკვეთურ სამუშაოზე ორსული ან ახალნამშობიარები ქალის, არასრულწლოვნების შშმ პირების თანხმობის გარეშე დასაქმებას, ზეგანაკვეთურ

[14] http://www.ombudsman.ge/uploads/other/2/2501.pdf სახალხო დამცველის ზოგადი წინადადება სახალხო შს ჯობს.გე–ს 2015წ.
[15] საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი მუხლი 1
[16] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ" მუხლი 1

სამუშაოდ ითვლება დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა სრულწლოვანისთვის აღემატება კვირაში 40 საათს 16–დან 18 წლამდე არასრულწლოვანისთვის კვირაში 36 საათს, ხოლო 14 დან 16 წლამდე არასრულწლოვანისთვის კვირაში 24 საათს[17]. კანონი ასევე კრძალავს ღამის სამუშაოზე (22 P.M. – 6 A.M.) არასრულწლოვანის, ორსულის, ახალნამშობიარები ან მეძუძური ქალების დასაქმებას[18]. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ორსულ ქალთათვის სამსახურებრივი პირობების დროებით შემსუბუქებას.[19]

თანაბარი სტანდარტია დაცული კერძო და საჯარო სექტორში მომუშავეთათვის ორსულობის და მშობიარობისშემდგომი პერიოდის ანაზღაურებადი შვებულების დაწესებისას. დასაქმებულებს ორსულობისა და მშობიარობის გამო ეძლევათ ანაზღაურებადი შვებულება 183 დღის ოდენობით, ხოლო გართულებული მშობიარობის, ან ტყუპის შემთხვევაში 200 დღის ოდენობით. ამ პერიოდში მათ აუნაზღაურდებათ სრული ხელფასისი ოდენობა, 1000 ლარი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. [20] კანონით გათვალისწინებულია შვებულების გაცემა დასაქმებულისთვის შვილად აყვანის შემთხვევაში 550 დღის ოდენობით, საიდანაც ანაზღაურებადია 90 დღე. საინტერესოა ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურებადი შვებულების მიმღები შესაძლოა თუ არა იყოს მამა? ამის მკაფიო პასუხს კანონი არ იძლევა. თუმცა, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების მიხედვით, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება და შესაბამისად ანაზღაურება ორსული (მშობიარე) ქალის ოჯახის წევრებს არ მიეცემათ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მშობიარე ქალის გარდაცვალების გამო ცოცხალი ბავშვის დაბადების შემთხვევაში დახმარებას ღებულობს ბავშვის მამა ან მეურვე პირი.
დაუშვებელია მოხელე (ქალის) გათავისუფლება სამსახურიდან ორსულობის, ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასევე ატესტაციის შედეგების გამო.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გადაწყვეტილებით, დასაქმებული ქალი ე.ბ. გათავისუფლდა სამუშოადან შტატების შემცირების გამო. გათავისუფლების მომენტში იგი იყო 19–20 კვირის ორსული, თუმცა მან ამის შესახებ გამგებლის მოვალეობის შემსრულებელს აცნობა მხოლოდ გათვისუფლების შემდეგ და მოითხოვა გათავისუფლების ბრძანების ბათილად ცნობა,სამუშაოზე აღდგენა და განცდურის ანაზღაურება. ე.ბ. ს მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ მან გათავისუფლებამდე არ აცნობა დამსაქმებელს ორსულობის შესახებ. აღნიშნული პოზიცია თელავის რაიონულლმა სასამართლომაც გაიზიარა. ზემდგომმა სასამართლოებმა შეცვალეს

[17] საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი მუხლი 17
[18] იქვე მუხლი 18
[19] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მუხლი 46
[20] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“ მუხლი19 საქართველოს ორგანული კანონი შრომის კოდექსი მუხლი 27, 29.

ეს გადაწყვეტილება და დააკმაყოფილეს ე.ბ.ს მოთხოვნა. უზენაესმა სასამართლომ დასაბუთებაში აღნიშნა:

საქართველოს კონსტიტუციის 36.3 **მუხლის** თანახმად, დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით. კონსტიტუცია აღნიშნული ნორმით ერთი მხრივ აღიარებს დედათა და ბავშვთა უფლებების (მათ შორის დედის შრომის უფლების) განსაკუთრებული დაცვის საჭიროებას, ხოლო მეორე მხრივ, ავალდებულებს კანონმდებელს მიიღოს სათანადო რეგულაციები. საჯარო მოსამსახურე ქალის შრომის უფლების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიებს ითვალისწინებს „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, რომლის 111-ე მუხლი დაწესებულების ადმინისტრაციისათვის მოხელე ორსული ქალის სამსახურიდან გათავისუფლების შეზღუდვას აწესებს. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 111-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოხელე (ქალი) არ შეიძლება გათავისუფლდეს სამსახურიდან ორსულობის ან ბავშვის 3 წლის ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე, ატესტაციის შედეგების გამო. აღნიშნული მოწესრიგებით კანონმდებელი მიზნად ისახავს არა მხოლოდ ორსული მოხელე ქალის შრომითი უფლებების დაცვას და მისთვის დამატებითი სოციალური გარანტიების შექმნას, არამედ აგრეთვე 3 წლამდე ბავშვის ინტერესების განსაკუთრებული დაცვის უზრუნველყოფას. ამ სამართლებრივი სიკეთეების მომეტებული დაცვის საჭიროებაზე საერთაშორისო აქტებიც მიუთითებენ. „ევროპის სოციალური ქარტიის” 8.2 მუხლისთანახმად, ორსულობისა და ბავშვის გაჩენის შემდეგ დასაქმებულ ქალთა უფლების ეფექტურად განხორციელების მიზნით, მხარეებმა იკისრეს ვალდებულება უკანონოდ მიიჩნიონ დამსაქმებლის მიერ ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ გადაწყვეტილება, ქალის მიერ ფეხმძიმობის შესახებ დამსაქმებლისათვის ინფორმაციის მიწოდებიდან დეკრეტული შვებულების დასრულებამდე პერიოდის განმავლობაში ან ქალისათვის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ შეტყობინების გადაცემა ამ პერიოდის ამოწურვისას. მართალია, აღნიშნული ნორმა რატიფიცირებული არ არის საქართველოს პარლამენტის მიერ, თუმცა „ევროპის სოციალურ ქარტიასთან“ მიერთებით (საქართველოს პარლამენტის 01.07.05წ. №1876 დადგენილება), საქართველომ იკისრა ისეთი პირობების უზრუნველყოფის ვალდებულება, რომლებიც შესაძლებელს გახდის ქარტიით გათვალისწინებული რიგი უფლებებისა და პრინციპების ეფექტურ განხორციელებას, რომელთა შორისაა ბავშვის დაბადების შემთხვევაში, დასაქმებული ქალის მიერ სპეციალური დაცვის მოთხოვნის უფლება (,,ევროპის სოციალური ქარტიის“ პირველი ნაწილის მე-8 პუნქტი). ამასთან, ,,ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ (რატიფიცირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს 15.09.1991წ. დადგენილებით) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დედობა და ჩვილი ბავშვის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ორსული ქალის სამსახურიდან განთავისუფლების მხოლოდ საკანონმდებლო აკრძალვა საკმარისი არ არის მოხელის უფლებების რეალური დაცვისთვის, სახელმწიფო ორგანოებმა, სათანადო

ნორმატიული საფუძვლების გათვალისწინებით, უნდა მოახდინონ ორსულ ქალთა უფლებების დაცვის პრაქტიკული უზრუნველყოფა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ე. ბ-ის სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ 21.01.13წ. აქტის გასაჩივრების ვადაში, კერძოდ, 28.01.2013წ. ე. ბ-მა განცხადებით მიმართა გამგეობას, რომლითაც ადმინისტრაციისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოების არსებობის შესახებ, რაც „საჯარო სამსახურის შესახებ" კანონის 111.2 მუხლის შესაბამისად გამორიცხავდა ე. ბ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესაძლებლობას.ეფექტური მმართველობითი საქმიანობის იმპერატივი ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით მოახდინოს მმართველობითი აქტების რეალურ სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა და კონკრეტული ურთიერთობის ახლებურად მოწესრიგება. სზაკ-ის მე-5 მუხლით განმტკიცებული კანონიერების პრინციპი ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებას მმართველობითი ღონისძიების (მათ შორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) მართლწინააღმდეგობის შემთხვევაში, გააუქმოს იგი.[21]

იმის გათვალისწინებით, რომ ქალთა უფლებების დაცულობის ხარისხი შედარებით დაბალია, მნიშვნელოვანია სასამართლომ იტვირთოს თავის როლი და პასუხისმგებლობა ქალთა მიერ უფლებების რეალიზების და დარღვევის ფაქტების გამოვლენის საქმეში. თუკი დაირღვა ქალის შრომის უფლება და განმსაზღვრელი გახდა მისი სქესიდან გამომდინარე ბიოლოგიური განმასხვავებელი ნიშანი (ორსულობა, ძუძუთი კვება, მშობიარობისშემდგომი მოვლა), სასამართლოებმა დასაბუთებაში უნდა მიუთითონ, რომ ადგილი აქვს სქესის ნიშნით განსხვავებულ მოპყრობას. ამ მხრივ საყურადღებოა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც კარგი პრაქტიკა:

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოდან, მუნიციპალიტეტის გამგეობიდან დასაქმებული ორსული ქალი გათავისუფლდა პირადი განცხადების საფუძველზე. მოგვიანებით, მან სადავოდ გახადა თავისუფალი ნების საფუძველზე გათავისუფლების განცხადებით მიმართვა. იგი უთითებდა, რომ განცხადება მან დაწერა მოტყუების და ძალდატანების გამო, იმ იმედით, რომ როგორც მას უთხრა თანამშრომელმა, ყველა თანამშრომელს უნდა დაეწერა განცხადება გათავისუფლების შესახებ და შემდეგ მათ ახალი გამგებელი ხელახლა დანიშნავდა.

უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ გაიზიარა მოსარჩელის მითითება. ნების ნამდვილობის არარსებობაზე მსჯელობისას, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ქალის ორსულობა. სასამართლომ შინაგანი რწმენის ჩამოყალიბების დასტურად აღნიშნა, რომ 7 თვის ორსულის მიერ სამსახურიდან ნებაყოფლობითი გათავისუფლების მოთხოვნა ეჭვს იწვევს იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ მას შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი და არაანაზღაირებადი შვებულებით ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო.

[21] საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილება საქმეზე #ბს388-377(კ-13) http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აკისრია ქალთა უფლებების დაცვის კუთხით და გადაწყვეტილებაში მოიშველია საერთაშორისო აქტები. გადაწყვეტილება შეიცავს ერთგვარ კრიტიკას თავად გენდერულად არასენსიტიური კანონმდებლობისას.
„ეროვნული კანონმდებლობის ანალიზის შედეგად საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ ქალთა, მათ შორის, ორსულ ქალთა შრომით უფლებებთან დაკავშირებით დადგენილია დაცვის მინიმალური სტანდარტი, კერძოდ, ქართული ნორმატიული ბაზა არ ცნობს თანაბარი ანაზღაურების გარანტიებს, გენდერული დისკრიმინაციისა და სამსახურში სექსუალური შევიწროვების ამკრძალავ ეფექტურ ნორმებს, მექანიზმებს; ასევე შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან, დასაქმებულ ქალთა დეკრეტული პირობების დამდგენი ნორმები და ვერ პასუხობს სამართლიანი პირობების სტანდარტს, ქვეყანაში არსებული ეკონომიკური სიტუაციის და სოციალური ვითარების ფონის გათვალისწინებით ეროვნული კანონმდებლობა არასაკმარისად იცავს ქალთა შრომით უფლებებს, როგორც ბავშვის დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ პერიოდშიც. შესაბამისად, ქვეყანაში ქალის ერთ-ერთი ფუნდამენტური - დედობის უფლების სათანადო რეალიზაცია უკიდურესად პრობლემატურია.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ როგორც საჯარო, ასევე კერძო შრომით სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები უცილობლად საჭიროებს ქალთა უფლებების დაცვის ნორმების მისადაგებას საერთაშორისო სტანდარტებთან, რათა ნორმატიულ დონეზე აღმოფხვრილ იქნეს გენდერული დისკრიმინაციის თეორიული დაშვება.“[22] –აღნიშნულია გდაწყვეტილების დასაბუთებაში.

„საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, კვლავ პრობლემას წარმოადგენს ქალთა დაწინაურების, ეკონომიკურ განვითარებაში თანაბარი მონაწილეობის და სათანადო ანაზღაურების საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ ქალების უფრო მეტი რაოდენობაა დასაქმებული, მათი ანაზღაურების საშუალო მაჩვენებლი განხვავდება კაცის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლისგან, რაც განპირობებულია ქალების დაბალანაზღაურებად თანამდებობაზე ყოფნითა და დასაქმების ადგილზე ე.წ. „შუშის ჭერის“ არსებობით, რაც მათ კარიერულ წინსვლას აფერხებს. იმავე ანგარიშის მიხედვით, ხშირია როდესაც ქალებს ქორწინების სტატუსის მიხედვით, შესაძლო ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის შვებულებისგან თავის ასარიდებლად უარს ეუბნებიან დასაქმებაზე . [23]

---

[22] საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმე ბს-463-451(კ-13) 18 თებერვალი 2014 წ. http://prg.supremecourt.ge/DetailViewAdmin.aspx
[23] “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ” საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში, გვ. 495 და 497, ხელმისაწვდომია ვებ გვერდზე: http://www.ombudsman.ge/uploads/other/1/1563.pdf

მაგალითისთვის 2013 წელს დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი 773.1 ლარს შეადგენდა, დასაქმებულ ქალზე – 585.0 ლარი, კაცზე –920.3 ლარი. 2014 წელს ეს თანაფარდობა არ შეცვლილა. საშალო ხელფასი 818.0 ლარი , ქალი – 617.9ლარი, კაცი – 980.0 ლარი.[24] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ქალთა ანაზღაურება 40% ით ჩამორჩება მამაკაცებისას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მაღალანაზღაურებად თანამდებობებზე მამაკცები დომინირებენ. საქართველოს სასამართლოებში არ ყოფილა დავები ამ საკითხზე, თუმცა ევროპული სტანდარტი საკმაოდ მკაცრია. მაგალითისთვის, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლო არ აღიარებს სქესობრივი ნიშნით არათანასწორ მოპყრობას თუნდაც დამქირავებლის მენეჯერული და ფინანსური გათვლების საფუძველზე.

Hill ის საქმე. მთავრობამ დანერგა სამოქალაქო სამსახურში სამუშაოს განაწილების სქემა, რომლის მიხედვითავ ერთ პოზიციას დროებით ორი დასაქმებული ინაწილებდა. თითოეული მათგანი ნახევარ სამუშაო დროს მუშაობდნენ და შესაბამისად ხელფასსაც ნახევარს იღებდნენ. პოზიციის გამოთავისუფლების შემთხვევაში თანამშრომლების შეეძლოთ სრულ განაკვეთზე გადასვლა. ამავდროულად სრულგანაკვეთიან პოზიციებზე მომუშავეთ წელიწადში ერთხელ ხელფასი თითო საფეხურით ეზრდებოდათ. ნახევარგანაკვეთზე მომუშავეები კი ერთ სრულ დანამატს იღებდნენ ორი წლის შემდეგ, მაშინ როდესაც, სრულგანაკვეთზე მომუშავენი – ერთი წლის შემდეგ. ორი დაქირავებული, რომლებიც სრულგანაკვეთიან პოზიციებზე დაბრუნდნენ ასაჩივრებდნენ დანამატის გამოთვლის სქემას. მთავრობის პოზიციით, განსხვავებული მოპყრობა გამართლებული იყო, რადგან ეფუძნებოდა ნამსახურებ სრულ დროზე დანამატის შეფარდების პრონციპს, თუმცა არ არსებობდა მტკიცებულება, რომ სხვა პირთა სტაჟი ნამსახურები საათების ზუსტი რაოდენობით გამოითვლებოდა. ECJ–მ დაადგინა დისკიმინაცია სქესობრივ ნიადადგზე, რადგან სამუშაო ადგილს ძირითადად ქალები ინაწილებდნენ. დამქირავებელი ვერ გაამართლებდა სამუშაოს განაწილების სქემით გამოწვეულ სქესობრივ დისკრიმინაციას მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისი თავიდან არიდება ხარჯებს გაზრდიდა. [25]

სასურველია, მოსამართლეებმა, უფლებადმცველთა ორგანზაციებმა გაამახვილონ ყურადღება სადავო შრომითი ურთიერთობების დროს, ხომ არ ხდება ქალის შრომითი უფლების შეზღუდვა იმ მიზეზით, რომ ის პრეტენზიას აცხადებს დაწინაურებაზე, ან ხელფასის მომატებაზე, რაც შესაძლოა შეფასდეს თანაბარი ანაზღაურების პრინციპის დარღვევად.

[24] http://www.geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/genderuli%20statistika.pdf

[25] ECJ, Hill and Stapleton v. The Revenue Commissioners and Department of Finance, saqme C-243/95 [1998] ECR I-3739, 17 ivnisi, 1998.

ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პროკურტურასა და საერთო სასამართლოებში

გენდერული თანაფარდობა საქართველოს პროკურატურაში დასაქმებულთა შორის

Position	Total	Women		Men	
პროკურატურაში დასაქმებული პირები	871	329	38%	542	62%
პროკურორი	436	128	29%	308	71%
გამომძიებელი	96	7	7%	89	93%
სტაჟიორი	58	31	53 %	27	47%
სხვა მუშაკები (მრჩეველი,დამხმარე და შტატგარეშე მოსამსახურეები	281	163	58%	118	42%
გადაწყვეტილების მიღებაუნარიან პოზიციებზე (მთავარი პროკურორი, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე და მოადგილეები, დეპარტამენტის უფროსები და მათი მოადგილეები, სამმართველოს უფროსები, საოლქო პროკურორები და მათი მოადგილეები, საოლქო პროკურატურების საგამოძიებოს და განყოფილების უფროსები, რაიონული პროკურორები.	108	15	14%	93	86%

სასამართლოების სისტემაში 2017 წლის მარტის მდგომარეობით გენდერული თანაფარდობა შემდეგნაირად გამოიყურება.

პოზიცია	სულ	ქალი	კაცი
მოსამართლეთა რაოდენობა (26 რაიონული და 2 სააპელაციო სასამართლო)	254 (84 ვაკანსია)	130 (51%)	124 (49%)

უზენაესი სასამართლო	13 (3 ვაკანსია)	5 (38%)	8 (62%)
იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები	14 (1 ვაკანსია)	4 (29%)	10 (71%)
სადისციპლინო კოლეგია	5	3 (60%)	2 (40%)
უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის წევრები	3	1 (33%)	2 (67%)
სასამართლოს თავმჯდომარეები	25 (3 ვაკანსია)	2 (8%)	23 (92%)
სასამართლოს კოლეგიების და პალატების თავმჯდომარეები	7	0	7 (100%)
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო	6	2 (33%)	4 (67%)

მოცემული მონაცემებიც ცხადყოფს, რომ სასამართლოს და პროკურატურის სისტემაში ქალთა ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებით კუთხით აქტივობა დაბალია. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეთა უმრავლესობას ქალები წარმოადგენენ (52%), ასარჩევ თანამდებობებზე უმეტესად ქალი მოსამართლეები კაცებს ირჩევენ. იუსტიციის საბჭოს 14 წევრისგან მხოლოდ 4 ქალია, მათ შორის 2 მოსამართლეთა მიერ არჩეული, 2 კი –პარლამენტის მიერ.

ქალთა უფლებები ოჯახში

საქართველოს კონსტიტუცია, ისევე როგორ იერარქიულად ქვემდგომი კანონმდებლობა ადგენს მეუღლეთა თანასწორობის პრინციპებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს ქორწინების ცნებას და დაქორწინების პირობებს. ქორწინება წარმოადგენს ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობით კავშირს, რომელიც რეგისტრირებულია იუსტიციის სამინისტროს შესაბამის სამსახურში. ქორწინებისთვის აუცილებელია საქორწინო ასაკის (18 წლის) მიღწევა და თანმხვედრი ნება. კანონით უზრუნველყოფილია მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა საოჯახო ურთიერთობებში [26] . კოდექსი პირდაპირ მიუთითებს დისკრიმინაციის აკრძალვასა და რაიმე უპირატესობის მინიჭების დაუშვებლობაზე ნებისმიერი საფუძვლით. ასეთებია: წარმოშობა, სოციალური ან ქონებრივი მდგომარეობა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილება, სქესი, განათლება, ენა, რელიგიისადმი

[26] სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1152

დამოკიდეულება, საქმიანობის სახეობა და ხასიათი, საცხოვრებელი ადგილის და სხვა გარემოებები.

სამოქალაქო კოდექსის მიხედვიოთ მეუღლეები ერთად წყვეტენ შვილების აღზრდის და ოჯახის სხვა საკითხებს [27] , თუმცა კანონი უზრუნველყოფს თითოიეული მეუღლის ინდივიდუალურობის შენარჩუნებას ქორწინების განმავლობაში. თითოეულ მეუღლეს აქვს უფლება აირჩიოს თავისი საქმიანობა და პროფესია, საცხოვრებელი ადგილი (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ოჯახის ინტერესებს)[28]. ქორწინების განმავლობაში, მეუღლეები ინარჩუნებენ ქონებრივ დამოუკიდებლობასაც. ქონება, რომელიც რომელიმე მეუღლეს ეკუთვნოდა დაქორწინებამდე, ისევე როგორც ქონება, რომელიც მიღებულია ქორწინების განმავლობაში ჩუქებით, ან მემკვიდრეობით წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს ასევე ქორწინების განმავლობაში შეძენილი პირადი ნივთები.[29]

მიუხედავად კანონით რეგლამენტირებული გარანტიებისა, ქართულ ოჯახებში და ზოგადად საზოგადოებაში დომინირებული პატრიარქალური განწყობა განაპირობებს პასიურობას და ნიჰილიზმს ქალთა უფლებათა დაცვის კუთხით. კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულ რესპოდენტთა 63% მიიჩნევს, რომ კარგი ცოლი უნდა დაემორჩილოს მეუღლეს, მაშინაც კი, თუ იგი მას არ ეთანხმება. ამ მოსაზრებას დაეთანხმა ქალების 56% და მამაკაცების 72%[30] . მეუღლეები ძირითადად დავებს აწარმოებენ ქონებრივი უფლებების დასაცავად მხოლოდ განქორწინების შემდეგ. მწირია საქორწინო ხელშეკრულებების დადების პრაქტიკაც.

მეუღლეთა აქტივობა გამოირჩევა ბავშვთა აღზრდასთან დაკავშირებულ საკითხებზე, როგორიცაა განქორწინების დროს ალიმენტის დაკისრება, ბავშვთა საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა და მასთან ურთიერთობის წესის დადგენა სასამართლოების მიერ მშობელთა შეუთანხმებლობის შემთხვევებში. ასეთ დავებში ძირთადად სასამართლოები ცდილობენ დაიცვან ბავშვის საუკეთესო ინტერესები ისე, რომ არ დაირღვეს მშობლის უფლებებიც.

კანონმდებლობა თანაბარ პირობებში აყენებს ქალ და მამაკაც მემკვიდრეებს, თუმცა საზოგადოების პატრიარქალური ბუნებიდან და დამკვიდრებული სტერეოტიპებიდან გამომდინარე, ქალები თავს არიდებენ თავიანთი სამემკვიდრეო უფლებების რეალიზაციას. ტრადიციულად, საქართველოში აღინიშნებოდა ქალ და კაც მემკვიდრეთა მიმართ განსხვავებული დამოკიდებულება ოჯახის წევრების მხრიდან. ქალი ქორწინების შემთხვევაში მშობლებისგან იღებდა მზითევს (მოძრავი ქონება, მათ შორის ავეჯი, ჭურჭელი, საყოფაცხოვრებო ნივთები, სამკაული), რითაც ფაქტობრივად დაკმაყოფილებულად ითვლებოდა მშობლებისგან, ხოლო უძრავი ქონება (სახლი, მიწა) ვაჟის საკუთრებაში

[27] სამოქალაქო კოდექსი მუხლი 1155
[28] იქვე მუხლები 1155–1157
[29] იქვე მუხლები 1161– 1162
[30] საზოგადოებრივი დამოკიდებულებები გენდერულ თანასწორობაზე პოლიტიკასა და ბიზნესში http://www.ge.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_UNDP_Gender_Research_GEO.pdf

გადადიოდა და ქალებიც აღარ აცხადებდნენ სამემკვიდრეო მასაზე პრეტენზიას. ამ ტრადიციის საფუძველს თავის მხრივ წარმოადგენდა დამკვიდრებული წესი, რომლის მიხედვითაც, ქალი საცხოვრებლად ქმრის ბინაში გადადიოდა, ხოლო ვაჟი მშობლებთან რჩებოდა. დამკვიდრებული წესი, განაპირობებს ქალთა პასიურობას, თავიანთი სამემკვიდრეო უფლებების რეალიზაციის კუთხით, განსაკუთრებით რეგიონში მაცხოვრებელ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა მხრიდან. *ამ საკითხზე არსებული დავების მიმდინარეობისას განსაკუთრებით ხშირია პროცესის მონაწილეთა მხრიდან სტერეოტიპული მოსაზრებების და სექსისტური გამონათქვამების გახმოვანების ფაქტები. მსგავსი ხასიათის დავები განსაკუთრებით კარგი „პოლიგონია“ მოსამართლეებისთვის რეაგირების გარეშე არ დატოვონ ამგვარი ფაქტები, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სტერეოტიპების მსხვრევას და მოტივირებულს გახდის ქალებს გააქტიურდნენ საკუთარი უფლებების დაცვის მიზნით კანონით დადგენილი შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენებაში. ხშირად ოჯახური დავების მიმდინარეობას ესწრებიან მხარეების გულშემატკივრები უმეტესწილად მშობლები, დები ძმები, მათი მეუღლეები, სხვა ნათესავები. ზეპირი განხილვისას მოსამართლეებმა უნდა განმარტონ და აქცენტი გააკეთონ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ერთიდაიგივე რიგის მემკვიდრე ქალების და მამაკაცების თანაბარი უფლება მემკვიდრეობაზე, ოჯახის საჭიროებებიდან გამომდინარე საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში მეუღლეების თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობა, ურთიერთრჩენის წინაპირობებისას თანაბარი ვალდებულება. რეაგირება უნდა იქონიონ დამამცირებელ სექსისტურ გამონათვქმებსა და რეპლიკებზე.*

მნიშვნელოვანია მოსამართლეთა როლი მხარეთა შორის მორიგების პირობების შეთანხმების პროცესის წარმართვაშიც. მოსამართლეებმა უნდა მიაქციონ ყურადღება მხარეთა ისეთ შეთავაზებებს და პირობებს, რომელიც მოტივირებულია სტერეოტიპული შეხედულებით : „ქალია და მეტი რად უნდა“, „კაცია, ოჯახი უნდა არჩინოს“. „ქალს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს“ „მამის ქონება ვაჟს უნდა დარჩეს მემკვიდრეობით“, „ვაჟი გენის (გვარის) გამგრძელებელია“. სასურველია მოსამართლეებმა თითოეული გამონათქვამის სტერეოტიპულობა სამართლებრიად დაუსაბუთონ დარბაზში მყოფ პირებს და მიანიშნონ შიდა და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტზე.

რეპროდუქციულ ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობა, ოჯახის დაგეგმვა და კონტრაცეპტივები

გენდერული თანასწორობის პრინციპის დაცვით სახელმწიფო ხელს უწყობს წყვილების მიერ ოჯახის დაგეგმას. საქართველოს ყველა მოქალაქეს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს შვილების რაოდენობა და მათი დაბადების დრო.[31] რეპროდუქციული

[31] იხ. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხ. 136

ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, როგორც სახელმწიფოს მიზანი განმტკიცებულია კანონით.[32] საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო განსაზღვრავს რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკას. რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტის 2014 წლის დადგენილებით არის დამტკიცებული.[33]

ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა. კანონი ასევე ადგენს განაყოფიერების გზებს და წესს უშვილო, მარტოხელა ქალის დედობის უფლებების რეალიზების მიზნით, დონორის მშობლის უფლების საკითხს.[34] პრეცედენტული მნიშვნელობა აქვს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც მარტოხელა ქალს განაყოფიერებული ემბრიონის გამოყენების უფლებას ანიჭებს, ყოფილი მეუღლის თანხმნობის გარეშე.[35]

სქესის შერჩევა დაბადებამდე

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მხარდაჭერით განხორციელებული კვლევის ,,გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები" მიხედვით, აბორტების მაჩვენებლის შეფასება პრობლემური საკითხია, ვინაიდან კლინიკებში და სხვა სამედიცინო ცენტრებში გაკეთებული აბორტების რეგისტრაცია სერიოზული ნაკლოვანებებით წარმოებს. არ არსებობს მოცილებული ნაყოფის სქესის შესახებ მონაცემები, რომლებიც პირდაპირ დაადასტურებდა აბორტის გამოყენებას სქესის შერჩევის მეთოდის სახით, რეპროდუქციული ჯანმრთელობის ბოლო, 2010 წლის კვლევა მიუთითებს სქესის შერჩევაზე როგორც აბორტის გაკეთების შესაძლო მიზეზზე, თუმცა ქალების მხოლოდ 1,4-მა პროცენტმა დაასახელა ეს აბორტის მიზეზად.[36]

---

[32] იხ. საქართველოს კანონი " საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", მუხ. 1

[33] საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2014–2016 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ", საქართველოს პარლამენტის 2014 წლის დადგენილება, მუხლი 4.3. http://www.mod.gov.ge/assets/up-modul/uploads/pdf/gender/genderuli-Tanasworobis-erovnuli-samoqmedo-gegma.pdf

[34] იხ. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ", მუხლები 141, 143, 144

[35] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 21 აგვისტოს გადაწყვეტილება http://www.tcc.gov.ge/index.php?m=443&newsid=723

[36] UNFPA მხარდაჭერით განხორციელებული კვლევა ,,გენდერული ნიშნით სქესის შერჩევა საქართველოში, კონტექსტი, მტკიცებულებები და შედეგები"; 2015. http://en.calameo.com/read/000713529fba88352dbbb

ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა დაბადებამდე სქესის შერჩევის შესახებ

საქართველოს კანონის ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 23-ე თავი ეხება ოჯახის დაგეგმვას, აბორტის დასაშვებ ვადას და პირობებს. ამავე დროს, სახელმწიფოს პრიორიტეტულ ამოცანად განსაზღვრავს ქალთა ჯანმრთელობის დაცვას აბორტების შემცირების გზით[37].

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“, განსაზღვრავს ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის (აბორტი) ჩატარებასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს სამეანო-გინეკოლოგიური პროფილის მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში და კრძალავს სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნურ შეწყვეტას. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებული დებულების თანახმად, ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა ხორციელდება: ა) ნებაყოფლობით (ქალის მოთხოვნის საფუძველზე) ორსულობის 12 კვირის ჩათვლით; ბ) სამედიცინო და სოციალური ჩვენებების შესაბამისად ორსულობის 12-დან 22 კვირამდე. ამავე ბრძანების თანახმად, დაუშვებელია სქესის შერჩევის მიზნით ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა გარდა იმ შემთხვევებისა, როცა აუცილებელია სქესთან შეჭიდული მემკვიდრეობითი დაავადების თავიდან აცილება.[38]
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი აწესებს პასუხისმგებლობას უკანონო აბორტისათვის, რაც გულისხმობს მის გაკეთებას კანონითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ. შესაბამისად, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენების მიხედვით და აკრძალულია აბორტი სქესის შერჩევის მიზნით. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური პირი, მათ შორის სამედიცინო პერსონალი, რომელიც უკანონო აბორტს აკეთებს.
შესაბამისად, პროკურორისა და მოსამართლის მიერ აბორტი, რომელიც 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში კეთდება სქესის შერჩევის მიზნით, უნდა იქნეს განხილული როგორც მუხლი 133 - უკანონო აბორტი.
ამ მიმართულებით სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში პრაქტიკა მწირია. ბოლო წლების განმავლობაში არ არსებობს სისხლის სამართლის საქმე, რომელზეც პირს ბრალი წარედგინა უკანონო აბორტის ფაქტზე, მათ შორის, სქესის შერჩევის მიზნით აბორტის ფაქტზე.

[37] იხ. საქართველოს კანონი ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, 1997 წელი;
[38] იხ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“, 2014 წელი;

სამედიცინო კონფიდენციალურობა ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე

მედიცინის მუშაკი და სამედიცინო დაწესებულების ყველა თანამშრომელი ვალდებულია პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა დაიცვას როგორც პაციენტის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ. [39] გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, როცა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას მოითხოვს გარდაცვლილის ნათესავი ან კანონიერი წარმომადგენელი, სასამართლო, საგამოძიებო ორგანოები. [40] ამდენად, პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მიეკუთვნება კონფიდენციალურ ინფორმაციას და მისი გამჟღავნება სამედიცინო პერსონალის მხრიდან შესაძლებელია მხოლოდ, ცალკეულ გამონაკლის შემთხვევებში, რაც დეტალურად არის გაწერილი კანონში. [41] მაგალითად, საექიმო საქმიანობის სუბიექტი ვალდებულია გაამჟღავნოს პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას, თუ ამას სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, მოითხოვენ სამართალდამცველი ორგანოები ანდა თუ საჭიროა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩასატარებლად. ასევე, საექიმო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებას უფლება აქვს გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც შეეხება ოჯახში ძალადობის შესაძლო ჩადენის ფაქტს ან/და არსებობს ძალადობის განმეორების საშიშროება, თუმცა ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მხოლოდ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პაციენტის უფლებებისა და ინტერესების დასაცავად. [42] *პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რომლის გამჟღავნებისგან დაცვა უპირველესად პროკურორს და მოსამართლეს აკისრია. სასურველია სამედიცინო დაწესებულებიდან გამოთხოვილ იქნეს ამ ტიპის ინფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ მკაცრად აუცილებელ შემთხვევაში, როდესაც მას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა დაზარალებულის უფლებების დასაცავად ანდა ბრალდებულის მიმართ სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის.*

ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა სტამბულის კონვენციის მიხედვით (ოჯახური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, სექსუალური შევიწროვება)

[39] საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 27

[40] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, მუხლი 42

[41] საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 48

[42] საქართველოს კანონი „პაციენტის უფლებების შესახებ“, მუხლი 28, საქართველოს კანონი „საექიმო საქმიანობის შესახებ“, მუხლი 48

ქალთა მიმართ ძალადობის სოციალური, კრიმინოლოგიური და პროცედურული ასპექტები

სოციოლოგიური კვლევების თანახმად, ოჯახში ძალადობაზე გავლენის მომხდენი და ხელის შემწყობი ძირითადი ფაქტორები ტრადიციული აზროვნება და მოსახლეობის დაბალი ინფორმირებულობის დონეა. ეს ფაქტორები გავლენას ახდენს ქალის სრულ უმოქმედობაზე ან ოჯახში ძალადობის მიმართ ტოლერანტობაზე საქართველოში. თუმცა, კვლევის სუბიექტების იდეები ასევე ადასტურებს, რომ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნასთან ერთად, სიტუაცია თანდათან იცვლება და ახალგაზრდა თაობა ბრმად აღარ მიჰყვება ტრადიციებს, ისინი მზად არიან საკუთარი უფლებების დასაცავად.[43]

ქალთა მიმართ ძალადობის ფორმები

საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ **2006 წლის კანონი ,,ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"**, განმარტავს ძალადობის ფორმებს:

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

სექსუალური ძალადობა – სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას[44].

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ფიზიკური ძალადობის სხვადასხვა ფორმები შესაბამისად იძლევა სხვადასხვა დანაშაულთა შემადგენლობას: განზრახ მკვლელობა

---

[43] გაეროს მოსახლეობის ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთობლივად დაფინანსებული პროექტის ,,დავძლიოთ გენდერული ძალადობა ამიერკავკასიაში" ფარგლებში, ,,ACT", Center of Social Sciences, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის საკითხების ეროვნული კვ:ევა საქართველოში; 2010 წ. http://www.feminizmi.org/wp-content/uploads/2015/02/geo-domestic-violence.pdf

[44] იხ. საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" , 2006 წელი.

(108-109-ე მუხლები); დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (117-120-ე; 125-126[1]-ე მუხლები); წამება (144[1]-ე მუხლი), დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა (144[3]-ე მუხლი); თავისუფლების უკანონო აღკვეთა (143-ე მუხლი) და ა.შ.

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის („სტამბოლის კონვენციის“) საფუძველზე, მომზადებულია სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს იძულებითი სტერილიზაციის კრიმინალიზაციას (133[1]-ე მუხლი).

სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადია ფსიქოლოგიური ძალადობის შემდეგი ფორმები: ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვა (126-ე მუხლი); სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ტანჯვა (126[1]-ე მუხლი); იძულება (150-ე მუხლი); მუქარა (151-ე მუხლი), თვითმკვლელობამდე მიყვანა (115-ე მუხლი).

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის საფუძველზე, დანაშაულად ცხადდება ასევე ,,ადევნება“ (151[1]-ე მუხლი) პირის, მისი ოჯახის წევრის ან სხვა ახლო ნათესავის არაკანონიერი თვალთვალი, ასევე არასასურველი კომუნიკაციის დამყარება ან ნებისმიერი სხვა განზრახი ქმედება, რომელიც ხორციელდება სისტემატურად და იწვევს პირის ფსიქიკურ ტანჯვას, ჩადენილი ასეთი ტანჯვის ან შიშის გამოწვევის მიზნით.

სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის ფორმებს - გაუპატიურება (137-ე მუხლი), სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (138-ე მუხლი), სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (139-ე მუხლი), სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან (140-ე მუხლი), გარყვნილი ქმედება (141-ე მუხლი).

ოჯახური ძალადობა

ეროვნული კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის შესახებ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლების დეტალური განხილვა; საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის შესახებ, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება)

საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის

სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.[45]
ოჯახური დანაშაულის ცნებას განსაზღვრავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-11^1 მუხლი, რომელიც ასევე განსაზღვრავს სისხლის სამართლის კოდექსის მიზნებისათვის ოჯახის წევრთა წრეს და დანაშაულთა ჩამონათვალს, რომელთა ჩადენა ოჯახის წევრის მიმართ კვალიფიცირდება ოჯახურ დანაშაულად.
სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლი არის ოჯახში ძალადობის სპეციალური მუხლი, რომელიც აერთიანებს ორ ქმედებას, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე იძლევა დანაშაულის შემადგენლობას: 1. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფიზიკური ძალადობა; 2. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა.

შესაბამისად, ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობის აქტი, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის რაიმე ხარისხით დაზიანება, კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 126^1-ე მუხლით. თუ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ძალადობის შედეგად რაიმე ხარისხით მოხდა დაზარალებულის ჯანმრთელობის დაზიანება, ქმედება კვალიფიცირდება ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესაბამისი მუხლით, მე-11^1 მუხლზე (ოჯახური დანაშაულის ზოგადი მუხლი) მითითებით.

ამავე 126^1-ე მუხლით კვალიფიცირდება ოჯახის ერთი წევრის მხრიდან მეორის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რასაც აუცილებლად სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს და იწვევდეს დაზარალებულის ტანჯვას ანუ მორალურ ზიანს.

თუმცა, თუ სახეზეა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემატური ფიზიკური ძალადობა (მაგ.: ცემის ორზე მეტი შემთხვევა), პირის ქმედება სცილდება 126^1-ე მუხლის ფარგლებს და უნდა დაკვალიფიცირდეს სხვა მუხლით - 126-ე მუხლით.

[45] იხ. საქართველოს კანონი ,,ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, 2006 წელი;

ოჯახური ძალადობის თვისებურებები და ფორმები საქართველოში;

ოჯახური ძალადობა, როგორც დანაშაული – წლიური სტატისტიკა და შედარებითი ანალიზი (მისი კოეფიციენტი და დინამიკა , ძირითადი ფორმები და მიზეზები, დამნაშავისა და მსხვერლის ძირითადი თვისებები, სანქციები, რისკჯგუფების იდენტიფიცირება და ა.შ.);

ძალადობის ეფექტური პრევენციის, გამოძიების პროცესში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და პროკურორებისთვის სახელმძღვანელო რეკომენდაციების შემუშავების საჭიროების განსაზღვრის მიზნით, საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ შესწავლილი იქნა 2014 და 2015 წლის იანვარ-სექტემბრის (9 თვე) პერიოდებში მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოძიებადაწყებული ოჯახური დანაშაულის ფაქტები (შედარებითი ანალიზი)[46]. ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 2014 წელთან შედარებით, რომლის განმავლობაშიც გამოძიება დაწყებული იყო ოჯახური დანაშაულის 330 ფაქტზე, 2015 წლის განმავლობაში აღნიშნული **ფაქტების რაოდენობა გაორმაგებულია.** ფაქტების მატების ტენდენციის განმაპირობებელი ძირითადი გარემოებაა ის, რომ 2015 წლის განმავლობაში ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული არაერთი კამპანიის ფონზე, გაიზარდა მსხვერპლთა მხრიდან სამართალდამაცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობის მაჩვენებელი მაშინ, როდესაც ძალადობრივი დანაშაულის 2014 წლის განმავლობაში მსხვერპლთა მხრიდან სამართალდამცავი ორგანოებისადმი მიმართვიანობისა და შემდგომში თანამშრომლობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალი იყო.

ანალიზიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასევე მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე დაზარალებულთა გამოძიებასთან **თანამშრომლობის მაჩვენებლი.** დადებითად არის შეცვლილი ტენდენცია დაზარალებულთა მხრიდან საწყის ეტაპზე არსებული **პოზიციის გამოძიების მიმდინარეობისას შენარჩუნების** კუთხითაც, კერძოდ: 680 სისხლის სამართლის საქმეზე მხოლოდ 25-მა დაზარალებულმა შეცვალა პირველადი ჩვენება ბრალდებულის სასარგებლოდ. აღნიშნულს თუ შევადარებთ 2014 წლის მონაცემებს, როდესაც იმ საქმეებზეც კი, სადაც დაზარალებულებმა ითანამშრომლეს, თანამშრომლობა გამოიხატა მხოლოდ პირველადი დაკითხვის დროს ჩვენების მიცემაში და გამოძიების მიმდინარეობისას და საქმის სასამართლო განხილვისას დაზარალებულები ჩვენებებს ცვლიდნენ ან უარს ამბობდნენ ახლო ნათესავის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემაზე, 2015 წლის განმავლობაში დაზარალებულთა მხრიდან პოზიციის შეცვლა შედარებით ნაკლებ პრობლემას წარმოადგენს. ამ შესაბამისად, მითითებული წლის განმავლობაში ოჯახური დანაშაულის რეგისტრირებულ 680 ფაქტზე, 414 პირი იქნა ბრალდებული სხვადასხვა მუხლებით, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო.

[46] დეტალურად იხ. „ძალადობრივი დანაშაულის ანალიზი“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.

ზემოაღნიშნული აიხსნება როგორც 2015 წლის განმავლობაში ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული არაერთი კამპანიით, რამაც სავარაუდოდ გაზარდა მსხვერპლთა მხრიდან სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნდობის ხარისხი და მიმართვიანობა, ასევე თავად სამართალდამცავ ორგანოთა ეფექტიანობის ამაღლებით ოჯახური დანაშაულის საქმეებზე მუშაობისას. კერძოდ: პროკურორები გადამზადდნენ ოჯახური დანაშაულის ძირითად საკითხებში: ოჯახში ძალდობის არსი და ფორმები, აღკვეთისა და გამოვლენის მექანიზმები, დამცავი და შემაკავებელი ორდერები, რეფერირების პროცედურების გამოყენების საკითხები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთან ურთიერთობის სპეციფიკა, ოჯახში ძალადობის ფსიქოლოგიური ასპექტები. სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ ასევე პროკურატურის სისტემაში მომუშავე მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორებს. რაც შეეხება საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებელ კამპანიებს, 2015 წლის განმავლობაში საქართველოს 20-მდე ქალაქში ჩატარდა 35 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1335 მოქალაქემ. მათ მიეწოდათ ინფორმაცია ოჯახური ძალადობის არსზე, შედეგებზე, დაცვის მექანიზმზე, მსხვერპლთათვის არსებულ თავშესაფრებზე და ა.შ. ყოველივე ზემოაღნიშნულმა, განაპირობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა მოტივაციის შედარებით ამაღლება - უკეთ დაიცვან საკუთარი უფლებები და ადეკვატური რეაგირება მოახდინონ ძალადობის ფაქტებზე.

გარდა პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელებისა სამართალდამცავთა მხრიდან, მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის ხარისხის ასამაღლებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დროულ და სწორ რეაგირებას ძალადობის ფაქტზე, ადეკვატურ სისხლის სამართლის პოლიტიკასა და სასჯელებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გარკვეული ხარვეზები ოჯახური დანაშაულის გამოვლენისა და ეფექტიანი რეაგრების კუთხით, კვლავ რჩება.

ფსიქოლოგიური და სისტემატური ძალადობის იდენტიფიცირების და დევნის წარმოების სირთულეები; მტკიცებულებათა მოპოვების,მსხვერპლთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის და გამოძიებასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფის მეთოდოლოგია

როგორც ანალიზიდან[47] ირკვევა, ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაზარალებულთაგან თითქმის ნახევარი არის მოძალადის მხრიდან მრავალჯერადი ან სისტემატური ძალადობის მსხვერპლი. ამავე დროს, გამოიკვეთა, რომ აღნიშნული კვალიფიკაციით - ოჯახის წევრის **სისტემატური** ცემის ან სხვაგვარი ძალადობისათვის (სისხლის სამართლის კოდექსის 11[1],126-ე მუხლით) დევნა დაწყებულია მხოლოდ 2 ფაქტზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოძიების ეტაპზე ვერ ხდება **სისტემატური ძალადობის ფაქტების გამოკვეთა** და მათი სათანადო მტკიცებულებებით გამყარება, მაშინ როდესაც

[47] დეტალურად იხ. ,,ძალადობრივი დანაშაულის ანალიზი", საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.

დაზარალებულები ჩვენებებში უთითებენ, რომ ოჯახის წევრები სისტემატურად ძალადობენ მათზე. აღნიშნულის მიზეზი შესაძლოა იყოს ერთი მხრივ გამომძიებელთა მხრიდან ძალადობის სისტემატურობის გამოკვეთის პრობლემა დაზარალებულთა დაკითხვის დროს და მეორე მხრივ, სხვა მტკიცებულებათა მოპოვების სირთულე დაზარალებულის ჩვენების გასამყარებლად და სისტემატურობის ფაქტის დასადასტურებლად.

სისტემატური ფიზიკური ძალადობის ფაქტის დასადასტურებლად, გამოძიების მიერ უნდა იქნეს მოპოვებული სათანადო მტკიცებულებები. პირველ რიგში, ოჯახური დანაშაულის ყველა დაზარალებულს მიზანშეწონილია დაესვას კითხვა: ძალადობის ფაქტი პირველია, თუ მანამდეც ჰქონია ადგილი მოძალადის მიერ მისი ცემის, სხვაგვარი ძალადობის ფაქტს; როდის ჰქონდა ასეთ ფაქტებს ადგილი, ვის შეუძლია აღნიშნულის დადასტურება, ხომ არ მიუმართავს საავადმყოფოსათვის, ფსიქოლოგისათვის. თუ შესაბამის მტკიცებულებათა ერთობლიობა ქმნის ორზე მეტი ძალადობის ფაქტის დასაბუთებულ ვარაუდს, მოძალადეს ბრალი უნდა წარედგინოს არა ერთჯერადი ძალადობის კვალიფიკაციით, არამედ სისტემატური ძალადობის კვალიფიკაციით.

მაგალითად, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც ბრალდებულს ბრალად წარედგინა დაზარალებულის სისტემატური ცემა და მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენება, რის შედეგადაც დაზარალებული განიცდიდა ფიზიკურ ტკივილს და ფსიქიკურ ტანჯვას, ბრალდებულის ამგვარი ქმედება გამოხატულია 4 ამგვარ ფაქტში, მათ შორის, 2 ფაქტზე ვერ დგინდება დანაშაულის ჩადენის ზუსტი თარიღი და დგინდება მხოლოდ თვე, თუმცა აღნიშნული სავსებით საკმარისია სისტემატურ ძალადობად დაკვალიფიცირებისათვის. დაზარალებული დაკითხვის დროს ასახელებდა თითოეული ფაქტის შემსწრე მოწმეს, რომლებიც დაიკითხნენ ფაქტის ირგვლივ, ჩატარებული იქნა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა მითითებული ძალადობის ბოლო ფაქტის დროს მიყენებულ დაზიანებებზე და ყოველივე აღნიშნულმა შექმნა შესაბამისი მტკიცებულებითი სტანდარტი ბრალდებულის არაერთგზისი ქმედებისათვის სწორი კვალიფიკაციის მინიჭებისათვის.

ასევე, პრობლემაა მტკიცებულებათა მოპოვება **ფსიქოლოგიური ძალადობის** კუთხითაც, რადგან ხშირ შემთხვევაში თავად დაზარალებულებიც კი ვერ აცნობიერებენ, რომ არიან ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლნი.

როგორც აღინიშნა, ფსიქოლოგიური ძალადობა გამოხატული უნდა იყოს შეურაცხყოფაში, შანტაჟში ან/და დამცირებაში, რასაც აუცილებლად უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი. შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება - ეს ქმედებები შესაძლოა გვხვდებოდეს ცალ-ცალკე ან კუმულაციურად. სამივესთვის აუცილებელი მახასიათებელია სისტემატურობა და შედეგი - ,,ტანჯვა“, ანუ მორალური ზიანი. აღსანიშნავია, რომ სისტემატურობა (სსკ-ის 126[1]-ე მუხლის მიზნებისათვის) მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობის მახასიათებელია. თუ სახეზეა ერთჯერადი, მაგრამ მძიმე ხასიათის დამამცირებელი მოპყრობა, ქმედების შინაარსიდან და შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე, შესაძლებელია დანაშაული დაკვალიფიცირდეს

დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობად (სსკ-ის 144^3-ე მუხლით). ძალადობის დამადასტურებელ სხვა მტკიცებულებებთან ერთად, მიზანშეწონილია გამოძიების მიმდინარეობისას მოპოვებულ იქნას დაზარალებულის ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან ვიზიტების ამსახველი დოკუმენტაცია და ა.შ. დაზარალებულის ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, რეკომენდებულია, დაიკითხოს ფსიქოლოგი ან ფსიქიატრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.[48]

ფიზიკური ძალადობის ყველა ფაქტზე ასევე უნდა იქნეს დადგენილი მსხვერპლი ხომ არ განიცდის სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას მოძალადის მხრიდან და რაში გამოიხატება აღნიშნული, მოყვება თუ არა მას შედეგად დაზარალებულის ტანჯვა, როგორც მორალური ზიანი.

მაგალითად, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე ხანშიშესული მამაკაცი სისტემატიურად აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამცირებდა და მისთვის მიუღებელ ქმედებას - კოცნას, მოფერებას, მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას სთავაზობდა შვილიშვილის ცოლს, რაც ამ უკანასკნელისათვის იყო მიუღებელი, რის გამოც იგი განიცდიდა ტანჯვას. დაზარალებული ჩვენების დროს განმარტავდა, რომ მისთვის მეუღლის ბაბუის მხრიდან ამგვარი ქმედება იყო გაუსაძლისი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი და ამის გამო განიცდიდა ტანჯვას, ასევე, ასახელებდა მოწმეებს, რომლებსაც მოუყვა აღნიშნულის შესახებ. ამ ქმედებისთვის მოძალადეს დაედო ბრალი ოჯახის მეორე წევრის მიმართ ძალადობაში, რაც გამოიხატებოდა სისტემატური შეურაცხყოფასა და დამცირებაში, რამაც გამოიწვია დაზარალებულის ტანჯვა.

ოჯახური დანაშაულის საქმეებზე გამოძიება უნდა ჩატარდეს გაჭიანურების გარეშე და საკმარისი მტკიცებულებების პირობებში ყოველგვარი შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული იქნეს **ყოველგვარი დაყოვნების გარეშე**; იმ საქმეებზე, სადაც საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით გამოვლინდება დანაშაულის შესაძლო ჩადენის ფაქტი, დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს მსხვერპლის **დაზარალებულად ცნობა,** მას უნდა განემარტოს გამოძიებასთან თანამშრომლობის მნიშვნელობა, მტკიცებულებათა მოპოვების საჭიროება და ხერხები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების მიზანშეწონილობა.

ოჯახურ დანაშაულებზე **დაზარალებულის ჩვენება** წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას. დაზარალებულის პირველივე დაკითხვა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად ამომწურავი. მისი განმეორებით დაკითხვა მხოლოდ იმ გარემოებების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზანს უნდა ემსახურებოდეს, რომელთა შესახებაც ინფორმაციას გამომძიებელი პირველი დაკითხვისას ობიექტურად ვერ მიიღებდა. მიზანშეწონილი არ არის დაზარალებულის დამატებით დაკითხვა იმ გარემოებების სხვაგვარად წარმოჩენის მიზნით, რასთან დაკავშირებითაც მან ჩვენება მისცა პირველი დაკითხვისას. დაზარალებულის

[48] იხ. რეკომენდაცია ,,სისხლის სამართლის კოდექსის მე-11^1 და 126^1-ე მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2015 წელი.

დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად უნდა იქნეს გაწეული მაქსიმალური ძალისხმევა სამართალდამცავთა და მოსამართლეთა მხრიდან. მიზანშეწონილია გამოირიცხოს დაზარალებულის მრავალჯერ დაკითხვა იმ მიზეზით, რომ თავდაპირველი დაკითხვის დროს გამომძიებელს კარგად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული კითხვები, გამორჩა მნიშვნელოვანი გარემოებები და ა.შ. დაზარალებულის დაკითხვა უნდა წარიმართოს სათანადო გარემოში, არ შეიძლება გამოკითხვა ტარდებოდეს საერთო ოთახში, გამოკითხვაში პროცესუალურად არამონაწილე პირთა თანდასწრებით.

გამოძიების დროს ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე დაზარალებულის პოზიცია სასურველია ჩამოყალიბებული იყოს წერილობით. რეკომენდებულია, დაზარალებულის პოზიციის გარკვევის პროცესში მონაწილეობა მიიღოს პროკურორმა და შეამოწმოს, ხომ არ არის დაზარალებულის პოზიციის ცვალებადობა მოძალადის მხრიდან მუქარის ან/და ზეწოლის შედეგი. გამოძიების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის, ასევე იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დახმარებას უწევენ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს.[49]

სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზეწოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.

ოჯახური დანაშაულის თითოეულ საქმეზე, უნდა დადგინდეს შემდეგი გარემოებები:

კავშირი მსხვერპლსა და დაზარალებულს შორის; დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი, დანაშაულის იარაღი, მიყენებული დაზიანებების ხარისხი, ძალადობის ფორმა (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური); ძალადობის ინტენსივობა (ერთჯერადი, სისტემატური); ძალადობის მოტივი - ხომ არ იყო ძალადობა განპირობებული გენდერული დისკრიმინაციის მოტივით; იყო თუ არა ჩადენილი არასრულწლოვანთა თანდასწრებით ან/და მათ მიმართ; დანაშაულის იარაღი (ცეცხლსასროლი იარაღი, ცივი იარაღი, სხვა საგანი, ფიზიკური ზემოქმედება და ა.შ.); მოძალადის ნასამართლობა და ინფორმაცია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ; მოძალადის მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის დროს (ალკოჰოლური თრობა, ნარკოტიკების ზემოქმედება); მსხვერპლის პოზიცია მოძალადის პასუხისმგებლობის საკითხზე და სხვა.

[49] იხ. რეკომენდაცია ,,სისხლის სამართლის კოდექსის მე-11^1 და 126^1-ე მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2015 წელი.

ოჯახური დანაშაულის ყველა საქმეზე მიზანშეწონილია ადმინისტრაციული წარმოების მასალების დართვა და მტკიცებულებად გამოყენება, თუ მოძალადის მიმართ სისხლის სამართალწარმოების დაწყებამდე ადგილი ჰქონდა ადმინისტრაციულსამართლებრივი ზომების გამოყენებას. რეკომენდებულია პოლიციის იმ თანამშრომლების მოწმის სახით დაკითხვა, რომლებიც მონაწილეობდნენ მოძალადის მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოების განხორციელებაში.[50]

ოჯახურ დანაშაულზე და ოჯახში ძალადობაზე სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მათ შორის, დაკითხვისას, გათვალისწინებული უნდა იქნეს არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის საუკეთესო ინტერესები, მათი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად. ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და დაზარალებულის დაკითხვა, სავარაუდო მოძალადე მშობლის (მშობლების) თანდასწრებით; აგრეთვე დაუშვებელია სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, ასევე მისთვის (მათთვის) არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების გაცნობა ან გადაცემა[51].

ეროვნული სასამართლოების პრაქტიკა აღკვეთის ღონისძიებების და სანქციების გამოყენების შესახებ

2016 წლის განმავლობაში (06 ოქტომბრამდე პერიოდი), სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლზე (ოჯახში ძალადობა, რომელიც სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 12 წლამდე ვადით) 127 შემთხვევაში იქნა მოთხოვნილი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა ბრალდების მხარის მიერ. აღსანიშნავია, რომ 60 შემთხვევაში სასამართლომ დააკმაყოფილა პატიმრობის შუამდგომლობა; 67 შემთხვევაში კი ბრალდებულს შეუფარდა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება.
ძირითადად, ოჯახში ძალადობის (სისხლის სამართლის კოდექსის 126[1]-ე მუხლი) ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნისას საბუთდება მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხის არსებობა - ვინაიდან მოწმეები არიან ბრალდებულის ოჯახის წევრები ან/და ახლო ნათესავები, არსებობს მათზე ბრალდებულის მიერ ზემოქმედების

[50] იხ. რეკომენდაცია ,,სისხლის სამართლის კოდექსის მე-11[1] და 126[1]-ე მუხლებზე აუცილებელი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2015 წელი.

[51] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 50; 2015 წელი;
კანონი ,,ოჯახში ძალადობის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, მუხლი 17; 2006 წელი.

მოხდენის საფრთხე სასურველი ჩვენების მიცემის მიზნით. ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე - რომ იგი განაგრძობს დაზარალებულის მიმართ ძალადობას.

რაც შეეხება სასჯელებს, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 80-დან 150 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი - საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 200-დან 400 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას 1- დან 3 წლამდე.
2016 წლის 9 თვის განმავლობაში, ოჯახური ძალადობის (126[1]-ე მუხლი) მსჯავრდებულების მიმართ ყველაზე მეტ - 171 შემთხვევაში სასჯელის სახით გამოყენებულია პირობით თავისუფლების აღკვეთა, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა გამოყენებულია 94 შემთხვევაში, ხოლო თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით - 26 შემთხვევაში.

როგორც წესი, ამ კატეგორიის დანაშაულის დაზარალებულები თავდაპირველი დაკითხვის შემდეგ ცვლიან პოზიციას და განსაკუთრებით სასამართლო განხილვის დროს, აცხადებენ, რომ არ აქვთ პრეტენზია მოძალადე ოჯახის წევრის მიმართ და ითხოვენ არ იქნეს დასჯილი იგი. აღნიშნული პოზიცია ხშირად ახდენს გავლენას სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აღკვეთის ღონისძიების შერჩევისა და სასჯელის განსაზღვრის დროს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში დაზარალებულის პიზიცია არ აისახა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განესაზღვრა მოძალადისათვის მსუბუქი სასჯელი.

მაგალითად: *საქმეზე მამაკაცმა ცემა მეუღლე და შვილის ცოლი. ორივე დაზარალებული ადასტურებდა ცემის ფაქტს, თუმცა, როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე სასამართლო განხილვების დროს, აფიქსირებდნენ პოზიციას, რომ არ დაესაჯათ ბრალდებული და მის მიმართ გამოყენებული ყოფილიყო შეღავათები, რადგან ეს იყო მისი მხრიდან პირველი შემთხვევა.*
მიუხედავად აღნიშნულისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. დაცვის მხარემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა განაჩენი და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება იმ მოტივით, რომ დაზარალებულებს არ ჰქონდათ პრეტენზია მოძალადის დასჯაზე, ბრალდებული იყო 60 წლის, არ იყო ნასამართლევი და არ ჰქონდა მყარი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მიუხედავად აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული შემამსუბუქებელი გარემოებები, მათ შორის დაზარალებულთა პოზიცია და ძალაში დატოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი.

სექსუალური ძალადობა, გაუპატიურება, სექსუალური შევიწროვება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი – (137–141 მუხლები) დანაშაული სექსუალური თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ 16 წელს მიუღწეველებისადმი. კანონდებლობის ხარვეზები და ცვლილებების საჭიროება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი აწესებს პასუხისმგებლობას სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის (137-141-ე მუხლები), მათ შორის გაუპატიურებისათვის (მუხლი 137) და 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედებისათვის (140 მუხლი).[52]
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ პრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის („სტამბულის კონვენციის“) საფუძველზე, მომზადებულია სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი, რომელიც სრულიად ცვლის მითითებული მუხლების შემადგენლობას, ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია აღნიშნულ დანაშაულთა შემადგენლობაში. [53]

სექსუალური ძალადობის საქმეთა გამოძიების პრობელმები, დაზარალებულთა დაკითხვა და გამოკითხვა, ფსიქოლოგიური ასპექტები

. სექსუალური ძალადობის მსხვერპლ პირებთან ყველაზე უფრო მომეტებულად არსებობს მათი მეორეული ვიქტიმიზაციის რისკი. პრაქტიკაში ყველაზე მეტი პრობლემებიც უკავშირდება ასეთ პირებთან პირველადი თუ შემდგომი გასაუბრების/გამოკითხვის საკითხებს - სათანადო გარემოს, სათანადო კითხვებსა და მაქსიმალური ინფორმაციის მიღებას მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის რისკის მინიმუმამდე დაყვანით.

ამგვარ საქმეებზე მიზანშეწონილია, რომ გამოძიება და საპროცესო ხელმძღვანელობა განახორციელოს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთან ურთიერთობის ფსიქოლოგიურ საკითხებში მომზადებულმა პირმა. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში, მსხვერპლის ტრავმული გამოცდილების გათვალისწინებით, გამომძიებლის/პროკურორის სქესს შესაძლოა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ, მასთან ეფექტიანი ურთიერთობის მიზნით, ზოგ შემთხვევაში შესაძლოა აუცილებელი გახდეს იმავე სქესის გამომძიებლის/პროკურორის ჩართვა საქმეში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სექსუალური ძალადობის დაზარალებულის დაკითხვის მეთოდოლოგიას, რაშიც იგულისხმება გარემო, სადაც მიმდინარეობს დაზარალებულის

[52] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 137-141-ე მუხლები.
[53] იხ. კანონის პროექტი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, 2015 წელი.

გამოკითხვა. დაუშვებელია გამოკითხვა ტარდებოდეს საერთო ოთახში, გამოკითხვაში პროცესუალურად არამონაწილე პირთა თანდასწრებით; დაზარალებულისათვის დასმული კითხვა უნდა იყოს იმგვარად ფორმულირებული, რომ არ გამოიწვიოს მისი შეურაცხყოფა და ხელახლა ტრავმირება; არ არის მიზანშეწონილი მოხდეს მისთვის იმგვარი კითხვების დასმა, რაც არაა კავშირში საქმისათვის აუცილებლად დასადგენ გარემოებებთან; სასურველია გამოირიცხოს დაზარალებულის მრავალჯერ დაკითხვა იმ მიზეზით, რომ თავდაპირველი დაკითხვის დროს გამომძიებელს კარგად არ ჰქონდა ჩამოყალიბებული კითხვები, გამორჩა მნიშვნელოვანი გარემოებები და ა.შ.

მსხვერპლს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული მისი მხარდაჭერის მიზანი სამართალდამცავთა მხრიდან, რისთვისაც მიზანშეწონილია საქმეში ჩართულნი იქნენ დაზარალებულისა და მოწმის კოორდინატორები.

სექსუალური ძალადობის საქმეებზე დაზარალებულის შესახებ ინფორმაცია მაქსიმალურად უნდა იყოს დაცული გახმაურებისაგან; მიზანშეწონილია მოხდეს მოწმეთა გაფრთხილება გამოძიების ინფორმაციის გაუხმაურებლობაზე.

რაც შეეხება სასამართლო განხილვას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი უფლებას აძლევს მოსამართლეს, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ, სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით, რაც სასურველია მაქსიმალურად იქნეს პრაქტიკაში გამოყენებული.

არასრულწლოვან პირთა მიმართ სექსუალური ძალადობა; არასრულწლოვან დაზარალებულთა დაკითხვის და გამოკითხვის სპეციფიკა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია არასრულწლოვანი **დაზარალებულისა და მოწმის უფლებების დაცვა, მათი მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.**

სამართალდამცავ სისტემაში არასრულწლოვანი მოწმე და დაზარალებული განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიაა, მითუფრო, როდესაც საქმე ეხება სექსუალური ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს, სადაც არსებობს უკვე არსებული ტრავმული გამოცდილებისა და სტრესის კიდევ უფრო გამწვავების დიდი რისკი პოლიციელის თუ სხვა პროფესიონალის მხრიდან, რომელთან შეხვედრითაც იწყება ბავშვის პირველი კონტაქტი სამართალდამცავთან.

მტკიცებულებათა მოპოვების თვალსაზრისით, განსაკუთრებით თუ საქმე გვაქვს ძალადობის გარეშე ბავშვის სექსუალური ხელშეუხებლობისა და თავისუფლების დარღვევასთან, სირთულეები განპირობებულია რამდენიმე მიზეზით:

თავად დანაშაული ატარებს **ლატენტურ ხასიათს** - ძალადობის ბევრი შემთხვევა დაფარული რჩება იმის გამო, რომ 1. ბავშვმა არ იცის, რომ დაზარალებულია და მის მიმართ ჩადიან დანაშაულს, ხშირად ახლობლები და თავად ოჯახის წევრებიც კი, მითუფრო, თუ დანაშაული ძალადობისა და ბავშვზე მტკივნეული ზემოქმედების გარეშე ხდება; 2. ბავშვი ინფორმაციის ერთადერთი წყაროა და არ ეძლევა დალაპარაკების შესაძლებლობა მასთან, ვისაც მისი დახმარება შეუძლია. 3. ბავშვის სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შესახებ ცნობილია ოჯახის წევრის მიერ, რომელიც ,,ხელს აფარებს" დანაშაულის ჩამდენ ოჯახის მეორე წევრს (ხშირად მეუღლეს, მეგობარ მამაკაცს). განსაკუთრებით რთულია იმ ფაქტების გამოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მიმართ დანაშაულის ჩადენას მათთვის ავტორიტეტის მქონე პირთა მხრიდან. არასრულწლოვანი დაზარალებული ხშირად ინფორმაციის ერთადერთი წყაროა და მისი ჩვენება პოტენციურად ერთადერთი მტკიცებულებაა, რაც ამცირებს საქმის სასურველი შედეგით დასრულების პერსპექტივას.

აღნიშნული განსაკუთრებით ეხება ისეთი კატეგორიის დანაშაულს, სადაც ძალადობის ან იძულების გარეშე ხდება არასრულწლოვნის სქესობრივი ხელშეუხებლობის დარღვევა. ამ მხრივ უნდა განვასხვავოთ 2 სხვადასხვა დანაშაული:

სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (მუხლი 140-ე), რომელიც არასრულწლოვნის ნებაყოფლობითობას გულისხმობს. ამ კუთხით მთავარ პრობლემას წარმოადგენს 16 წლამდე პირებთან ოჯახის შექმნის ანუ ნაადრევი ქორწინების შემთხვევები, რა დროსაც ხდება სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წელს მიუღწეველ პირთან. რაც შეეხება ოჯახის შექმნისგან განსხვავებულ შემთხვევებს, ზოგჯერ თავად არასრულწლოვანს არ სურს მისი ნებაყოფლობითი კავშირის გაცხადება ან გაცხადებულზე გამოძიებასთან თანამშრომლობა.
გარყვნილი ქმედება (მუხლი 141), რომელიც ასევე ძალადობის გარეშე ქმედებას გულისხმობს. ამ დანაშაულის გამოძიების სირთულე კი დაკავშირებულია შემდეგ მიზეზებთან: ა. ხშირ შემთხვევაში, როგორც უკვე აღინიშნა, თავად არასრულწლოვან დაზარალებულს არ აქვს გათვიცნობიერებული, რომ მის მიმართ ჩადიან დანაშაულს; ბ. დანაშაულის ერთადერთი მოწმე თავად დაზარალებულია და მისი ჩვენებაც ერთადერთი მტკიცებულებაა და უმრავლეს შემთხვევებში ქმედებას არ აქვს ისეთი კვალი, რაც დაზარალებულისათვის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებით იქნებოდა დადგენილი.
როგორც უკვე აღინიშნა, არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა და ამ დაკითხვის გზით მიღებული ინფორმაცია მეტწილად გადამწყვეტ როლს ასრულებს საქმის პერსპექტივისათვის. სირთულეებია ინფორმაციის მიღების თვალსაზრისითაც, უდავოა ინტიმურ საკითხებზე ბავშვის გამოკითხვის/დაკითხვის სირთულე, მისთვის შესაფერისი კითხვებისა და ფრაზების შერჩევა, რის გამოც ასეთ საქმეებზე მიზანშეწონილია ჩაერთოს

შესაბამისი სპეციალისტი - ფსიქოლოგი და მისი დახმარებით მოხდეს ბავშვისაგან მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმე ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა, რომლის ჩანაწერიც შეიძლება მოსმენილი/დემონსტრირებული იქნეს სასამართლო სხდომაზე. გარდა აღნიშნულისა, კოდექსის 24-ე მუხლი აწესებს არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებებს, რაც შესაძლებელია გამოყენებული იქნას სექსუალური ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნის დაკითხვისას [54], კერძოდ: იმისათვის, რათა პროცესის განმავლობაში თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი დაზარალებულის/მოწმის მეორეული ვიქტიმიზაცია და ამავე დროს, მაქსიმალურად ეფექტიანად მოხდეს მისი დაკითხვა, პროკურორმა უფლება აქვს იშუამდგომლოს:

- ✓ არასრულწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცვლელი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალე ეკრანის მიღმა ან დისტანციურად დაკითხვის შესახებ;
- ✓ სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ;
- ✓ სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ;
- ✓ ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია.

ამგვარი შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლემ საკითხი უნდა გადაწყვიტოს არასრულწლოვანი დაზარალებულის/მოწმის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად.

დანაშაულები გენდერული ნიშნით

გენდერის ნიშნით დისკრიმინაცია, როგორც დანაშაულის მოტივი, შიდა კანონმდებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილი განსაზღვრავს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს დისკრიმინაციის რომელიმე ნიშნით დანაშაულის ჩადენისას, მათ შორის სქესის, გენდერული იდენტობის და სხვა ნიშნით, თუმცა არ არის ხაზგასმული გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, რაც უნდა მოვიაზროთ ,,სხვა ნიშნის“ ქვეშ.

გენდერი არის სოციალური სქესი, განსხვავება კაცსა და ქალს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით, ამა თუ იმ

[54] იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 2015 წელი.

საზოგადოებაში კაცისა და ქალის როლის თავისებურებებით. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული მოტივის გამოკვეთა რთულია და ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომლებიც დაზარალებულის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებს, აუგად იხსენიებს მის სქესს, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებზე და ტრადიციულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში და ა.შ.[55]

გენდერის ნიშნით მოტივირებული დანაშაულის იდენტიფიკაცია, გამოძიების პროცესში

ძალადობის ფაქტების მოტივების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, რომ ძალადობის ყველაზე მეტი ფაქტი ჩადენილია ურთიერთშელაპარაკების დროს; საყოფაცხოვრებო ნიადაგზე კონფლიქტის დროს; შემდეგაა ეჭვიანობის ნიადაგზე მომხდარი ფაქტების რიცხვი; შურისძიების, მსხვერპლის ფსიქიკური პრობლემის გამო, სექსუალური ორიენტაციის გამო და ა.შ. მნიშვნელოვანი ტენდენცია, რაც გამოიკვეთა ოჯახური დანაშაულის ფაქტების მოტივების შესწავლით, არის გამოძიების მიმდინარეობისას გენდერული ნიშნით ძალადობის გამოკვეთის პრაქტიკის არარსებობა, რაც ცხადყოფს ამ მიმართულებით კვალიფიკაციის ამაღლებისა და მუშაობის აუცილებლობას სამართალდამცავ ორგანოებში. [56]

ასევე, აღსანიშნავია ქალთა მკვლელობის საქმეები, სადაც ასევე არ არსებობს გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთის პრაქტიკა. მკვლელობის საქმეებში ძირითად მოტივად გვევლინება ეჭვიანობა და შურისძიება.

გენდერული მოტივის გამოკვეთა სირთულეს წარმოადგენს გამოძიების მიმდინარეობისას. მნიშვნელოვანია პროურორს და მოსამართლეს ჰქონდეს ნათელი ხედვა თუ რა უნდა იქნეს მიჩნეულად გენდერულ მოტივად.

გენდერი არის სოციალური სქესი, განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით, ამა თუ იმ საზოგადოებაში კაცისა და ქალის როლის თავისებურებებით. გენდერი ნიშნავს სოციალურად შემუშავებული როლების, ქცევებისა და მახასიათებლების ერთობლიობას, რომლებსაც მოცემული საზოგადოება მიიჩნევს სათანადოდ ქალისთვის და მამაკაცისთვის. იმისთვის, რათა გაირკვეს ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, უნდა დადგინდეს მოძალადის დანაშაულებრივი ქმედება განპირობეულია თუ არა გენდერული სტერეოტიპების გავლენით. კერძოდ, გენდერული სტერეოტიპია ქალის ძირითად ფუნქციად ოჯახის შექმნის, შვილების გაჩენის, მეუღლეზე ზრუნვის, სახლის დალაგების, ბავშვების მოვლის მიჩნევა, ხოლო მამაკაცის მთავარ ფუნქციად ოჯახის ეკონომიკურად უზრუნველყოფის მიჩნევა.

---

[55] იხ. რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი;

[56] იხ. ,ძალადობრივი დანაშაულის ანალიზი“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი;

გენდერული სტერეოტიპია ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებული შეფასება და მათი მსგავსი ქცევის არათანაზომიერად გაკიცხვა. სტერეოტიპული შეხედულებები გამოიხატება ძირითადად ამგვარ შეფასებებში: განქორწინების შემდეგ ქალს მოეთხოვება დაკავდეს მხოლოდ ბავშვების მოვლით და აღზრდით და არ აქვს პირადი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის უფლება; განქორწინებულ ცოლს მოეთხოვება „პატიოსნად“ ცხოვრება მისი ყოფილი ქმრის სახელის არ შერცხვენის გამო, მის მიერ სექსუალური პარტნიორის ყოლა ითვლება „გზიდან აცდენად“, „აღვირახსნილ ცხოვრებად“. გენდერული სტერეოტიპების გავლენით, მამაკაცი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს მეუღლეს ამ საფუძვლით მიიჩნევს მას საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს უფლება არ აქვს მეუღლის ნებართვის ან თანხმობს გარეშე გავიდეს სახლიდან, კონტაქტი დაამყაროს თავის ნათესავებთან, თავისუფლად აირჩიოს მეგობრები, თავისუფლად მიიღოს განათლება, დაეუფლოს გარკვეულ პროფესიას, დაიწყოს მუშაობა და ა.შ. ანუ, როდესაც ქალს წართმეული აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება. სწორედ ამგვარი გენდერული სტერეოტიპებით განპიროებებული ძალადობრივი ქცევა უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც გენდერული ნიშნით შეუწყნარებლური მოტივით ჩადენილ დანაშაულად.

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს დანაშაულის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესიული დამოკიდებულება. ხსენებული მოტივის გამოკვეთის მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომელიც დაზარალებულის რეპუტაციას ეჭვქვეშ აყენებს, აუგად იხსენიებს მის სქესს, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებზე და ტრადიციულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში და ა.შ.

ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს დანაშაულის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესიული დამოკიდებულება. სიძულვილის მოტივის გამოკვეთისთვის გამოძიების საწყის ეტაპზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულის მიერ დაფიქსირებული პოზიცია და პირველადი საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებების სწორად ჩატარება, რომლის შედეგად დანაშაულის მოტივ(ებ)ს საბოლოოდ საზღვრავს სისხლისსამართლებივ დევნაზე პასუხისმგებელი პირი - პროკურორი.

Case discussion: *სისხლის სამართლის საქმეზე მოძალადემ, ყოფილ მეუღლეს, განზრახ მკველელობის მიზნით, დღის საათებში, ხალხმრავალ ადგილას, განსაკუთრებული სისასტიკით - ხმლით მოაჭრა თითისა და ყურის ნაწილები, გადაუჭრა მუხლი, ჩაუმტვრია კოჭის ძვალი და სხეულის სიცოცხლისათვის სახიფათო სხვადასხვა ადგილებში, მათ შორის თავის არეში, მიაყენა მრავლობითი ნაკვეთ-ნაფლეთოვანი დაზიანებები. მოძალადისაგან დამოუკიდებელი მიზეზით -*

გარეშე პირის ჩარევით, მან დანაშაულებრივი ქმედება სისრულეში ვერ მოიყვანა და მიიმალა შემთხვევის ადგილიდან. საავადმყოფოში გადაყვანილი დაზარალებული ქირურგიული ჩარევის შედეგად გადაურჩა სიკვდილს. დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებებით, აღნიშნულ ფაქტს წინ უძღვოდა არაერთი კონფლიქტი მათ შორის და მუქარა ბრალდებულის მხრიდან, კერძოდ: განქორწინების შემდეგ მათი კონფლიქტის მიზეზი იყო ბრალდებულის უკმაყოფილება, რომ დაზარალებული დადიოდა გასართობ ადგილებში; მისგან მოითხოვდა, რომ დაზარალებულს არ ევლო რესტორნებში და მიეხედა ბავშვებისათვის რადგან მოძალადეს ,,არ მოსწონდა ორი არასრულწლოვანი შვილის დედა რესტორნებში რომ დადიოდა ხშირად". ბრალდებულის ჩვენებით, მას არ სურდა მოეკლა ყოფილი მეუღლე, არამედ სურდა მისი დასახიჩრება, რომ არავისთან ჰქონოდა ურთიერთობა და დარჩენილიყო ,,მისი შვილების ღირსეულ დედად".

შესაბამისად, მოყვანილ საქმეში ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის მოტივი იყო სურვილი - ეკონტროლებინა ყოფილი მეუღლის ქცევა და ჰქონოდა მასზე ზემოქმედების საშუალება, გამომდინარე იქიდან, რომ დაზარალებული იყო ქალი, საზოგადოებაში მისი როლი იყო მხოლოდ ბავშვების აღზრდა და მას არ ჰქონდა უფლება ევლო გასართობ ადგილებში. ამგვარი მოტივით დანაშაულის ჩადენა კი, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს გენდერული დისკრიმინაციის მოტივით ჩადენილად.

მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფის ქალებისთვის

საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" [57] კრძალავს ნებისმიერი ფორმით დისკრიმინაციას. კანონის მიზანია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა, რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

კვლევის ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით" - თანახმად, ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიან რეაგირებას, სხვა ფაქტორებთან ერთად განაპირობებს საზოგადოებაში მყარად ფესვგადგმული სტერეოტიპული განწყობები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს პროფესიონალთა საქმიანობის ხარისხზე. არსებობს მითები, რომლებიც მათ ხელს უშლის მუშაობაში. მაგალითად: ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები იგონებენ ისტორიებს

[57] ტხ. საქართველოს კანონი ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ", 2014 წელი.

მათ მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ“ ან ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებმა არ იციან რა არის ძალადობა და მათ გამოკითხვას აზრი არ აქვს“. [58]

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებობს არაერთი ბარიერი, რაც გამორიცხავს ან დაბალი სტანდარტით უზრუნველყოფს მათ თანაბარ და სრულ ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულების უფლებაზე. ხელმიუწვდომელი ფიზიკური გარემო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სფეროზე საზოგადოების ცნობიერების დაბალი ხარისხი, აღნიშნული საკითხების შესასწავლად სათანადოდ მომზადებული სამართალდამცავებისა და სხვა დარგის პროფესიონალი სპეციალისტების ნაკლებობა პირდაპირ უკავშირდება დანაშაულთან ბრძოლის არაეფექტიანობის საკითხს. [59]

ზემოაღნიშნული კვლევის თანახმად, მნიშვნელოვანია მენტალური ბარიერის დასაძლევად მიმართული კამპანიები, რომელთა სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ როგორც თავად მსხვერპლი ქალები, ისე სამართალდამცავი ორგანიების წარმომადგენლები.[60]

სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოები ვალდებულნი არიან თანაბარი პირობები შეუქმნან ნებისმიერ პირს, საკუთარი უფლების დაცვისათვის.დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე, თუ იკვეთება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სავარაუდო დაზარალებული, სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება და აწარმოონ იგი ამ პირის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მოცემული კატეგორიის საქმეები მზიანშეწონილია გამომძიებლის/პროკურორის მიერ მიჩნეული იქნეს პრიორიტეტულად, გამოძიება უნდა წარიმართოს სრულყოფილად და სწრაფად, ყოველგვარი უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე. ამასთან, რამდენადაც შესაძლებელია, საქმის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, პროცესის ყველა ეტაპზე დაცული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის კონფიდენციალურობა.

---

[58] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მიერ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა: ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ძირითადი ტენდენციები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით“ 2016 წელი, გვ. 29

.

[59] იხ. არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მიერ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა: ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ძირითადი ტენდენციები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით“ 2016 წელი, გვ. 30.

[60] იხ.არასამთავრობო ორგანიზაციის ,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ მიერ ევროკავშირის პროექტის ფარგლებში მომზადებული კვლევა: ,,ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ძირითადი ტენდენციები; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების წინაშე არსებული ბარიერები მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის კუთხით“ 2016 წელი, გვ. 32.

რეკომენდებულია, შესაბამისი საფუძვლების არსებობისას, გამოძიების საწყის ეტაპზე მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, რათა მაქსიმალურად იყოს უზრუნველყოფილი მისი ინტერესების დაცვა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ცალკე სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა მიმართ საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების სპეციალურ წესებს არ გამოყოფს. აღნიშნული კატეგორიის პირს ეხება კოდექსის 117-ე მუხლი, რომლის თანახმად, ყრუ-მუნჯის გამოკითხვა/დაკითხვა ტარდება შესაბამისი ცოდნის მქონე თარჯიმნის მონაწილეობით. თუ გამოსაკითხი/დასაკითხი პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შეიძლება წერილობით, ხოლო თუ ის მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებზე პასუხები წერილობით გასცეს. გარდა აღნიშნულისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი, წესებს, რომლებიც თარჯიმანს ეხება, იმ პირზეც ავრცელებს, რომელსაც ესმის ყრუ-მუნჯთა ნიშნები. სპეციალური თარჯიმნის წესები გამოიყენება, როგორც ფიზიკური ნაკლის, ასევე ინტელექტუალური აშლილობის შემთხვევებში, როდესაც პირი არ მეტყველებს. თარჯიმანი მოცემულ შემთხვევებში უნდა გაფრთხილდეს იმის თაობაზე, რომ ზუსტად და სრულად უნდა თარგმნოს ჩვენება, რის შესახებაც შესაბამისი მითითება უნდა გაკეთდეს გამოკითხვის/დაკითხვის ოქმში.

რეკომენდებულია იმ პირების მიმართ, რომელთაც აქვთ გადაადგილების სირთულე, საპროცესო/საგამოძიებო მოქმედებები (საგამოძიებო მოქმედების შინაარსიდან გამომდინარე) განხორციელდეს მის საცხოვრებელ მისამართზე ან განთავსების ადგილას.[61]

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილი დანაშაულის ჩადენას შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად აცხადებს. მათ შორისაა დანაშაულის ჩადენა სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეროვნული კუთვნილების და სხვა ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით. იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია რომელიმე ჩამოთვლილი ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, სასჯელის დანიშვნისას აღნიშნული უნდა მიეთითოს დამამძიმებელ გარემოებად და სასჯელის დანიშვნა მოხდეს აღნიშნულ მუხლზე მითითებით.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაული სახეზეა, თუ კუმულაციურად არსებობს ორი პირობა:

- ✓ პირის მიმართ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს დანააულს;
- ✓ დანაშაულის ჩადენის ძირითად ან დამატებით მოტივს წარმოადგენს შეუწყნარებლობა რომელიმე კონკრეტული კგუფის წევრის ანდა მასთან ასოცირებული პირის მიმართ, დამახასიათებელი ნიშნის გამო.

[61] იხ. რეკომენდაცია ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების თაობაზე“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.

გამოძიების მიმდინარეობისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საწყის ეტაპზევე დაზარალებულის მიერ დაფიქსირებული პოზიცია და მტკიცებულებების მოპოვება მოტივის დასადასტურებლად. დანაშაულის ჩადენისას შეუწყნარებლობის მოტივის მაჩვენებელია ობიექტური ფაქტები, გარემოებები ან დამნაშავის ქმედებები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვა გარემოებებსა და ფაქტებთან კავშირში ქმნის ქმედების სიძულვილით მოტივირებულად კვალიფიცირების საფუძველს.[62] მაგალითად, დაზარალებულთან დაკავშირებული გარემოებები - პირი მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობას (ეროვნული, სექსუალური, რელიგიური); დამნაშავის ქცევა - კომენტარები, ჟესტები, მის მიერ დანაშაულის შემთხვევის წინ, მიმდინარეობისას ან შემდეგ გაკეთებული დისკრიმინაციის შემცველი განცხადებები და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუ დადგინდა დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენის ფაქტი, პროკურორმა პირის ბრალდების დადგენილებაში უნდა იმსჯელოს აღნიშნულ კონკრეტულ მოტივზე და ასევე გაამახვილოს ყურადღება სასამართლო განხილვისას შესავალი და დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას და დაკითხვების დროს. ხოლო მოსამართლე, სათანადო დასაბუთების შედეგად, აღნიშნულს გაითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს, სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილზე მითითებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ასევე, სამართალდამცავების და მართლმსაჯულების წარმომადგენლების მიერ დისკრიმინაციული მიდგომისა და აღნიშნულით, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის სრულად გამორიცხვას მართლმსაჯულების პროცესში. ამ მხრივ განსაკუთრებული რისკის ქვეშ არიან სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები.

ადრეული და იძულებითი ქორწინება

საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ნაადრევი ქორწინება ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ნაწილია. ერთ-ერთ რეგიონში ჩატარებული კვლევის თანახმად, საზოგადოებისათვის ადრეული ქორწინება ჩვეულებრივ, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილად იქცა. ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები უმეტეს შემთხვევაში დამოკიდებულია დამკვიდრებულ სტერეოტიპებზე, ტრადიციებზე, ეთნიკურ, რელიგიურ და რეგიონალურ ფაქტორებზე.[63]

[62] იხ. რეკომენდაცია ,,საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის მე-3[1] ნაწილის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების პრაქტიკაში გამოყენების თაობაზე". საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.
[63] ასოციაცია HERA XXI (Health Education Rights Alternative) კვლევა ,,ადრეული ქორწინების გამომწვევი მიზეზები", 2014 წელი. http://en.calameo.com/read/004110021a9c9daf4306b

შიდა პრაქტიკა ადრეულ და იძულებით ქორწინებაზე. სისხლის სამართლისკანონმდებლობა; სისხლის სამართლის შიდა პოლიტიკისა და სანქციების ადეკვატურობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ იცნობს ნაადრევი ქორწინების ცნებას. კოდექსი დასჯადად აცხადებს სრულწლოვნის სქესობრივი კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას 16 წლის ასაკს მიუღწეველთან (მუხლი 140-ე), რომელიც არასრულწლოვნის ნებაყოფლობითობას გულისხმობს. როგორც ამ მუხლზე ჩატარებულმა ანალიზმა[64] ცხადყო, ამ კუთხით მთავარ პრობლემას წარმოადგენს 16 წლამდე პირებთან ოჯახის შექმნის ანუ ნაადრევი ქორწინების შემთხვევები, რა დროსაც ხდება სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წელს მიუღწეველ პირთან. მოქმედი კანონმდებლობა აღნიშნულ ქმედებას განიხილავს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლის ჭრილში და პრაქტიკულად საერთო სანქციას აწესებს როგორც იმ პირთათვის, რომლებმაც ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე დაამყარეს სქესობრივი კავშირი 16 წლამდე პირებთან (ზოგჯერ დიდი ასაკობრივი სხვაობის პირობებში) და ასევე იმ პირთათვისაც, რომლებმაც, მაგალითად, წლების წინ შექმნეს ოჯახი 16 წლამდე პირთან და უკვე ჰყავთ შვილებიც.

2015 წლის განმავლობაში გამოძიებადაწყებული საქმეების შესწავლიდან მიღებული მაჩვენებელი ასეთია: სრულწლოვნის სქესობრივ კავშირს ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას 16 წლის ასაკს მიუღწეველთან 85% შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ამ პირთან დაქორწინების დროს - ანუ ამ საქმეებში ბრალდებული იყო ქმარი, ხოლო დაზარალებული ცოლი. მხოლოდ საქმეების 14% შემთხვევაში ჰქონდა ადგილი შემთხვევითი კავშირის, ნაცნობობის დროს და ა.შ. ანუ ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე.



დანაშაულის ჩადენის თაობაზე საგამოძიებო ორგანოებისთვის მეტწილად ცნობილი ხდება ბავშვის დაბადების შემდგომ, როდესაც სამშობიარო დაწესებულებიდან დაბადების რეგისტრაციის მიზნით სამედიცინო ცნობა (რომელიც შეიცავს მშობლების დაბადების თარიღებს) ეგზავნება სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, მიმართავს

[64] ანალიზი ,,სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან", საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.

სამართალდამცავ ორგანოს. შესაბამისად, ფაქტზე გამოძიება იწყება მას შემდეგ, რაც წყვილი გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანაცხოვრობს როგორც ოჯახი და ჰყავთ შვილი ან შვილები. გამოძიების მიმდინარეობისას, როგორც წესი, „დაზარალებული“ აქცენტს აკეთებს ქმედების ნებაყოფლობითობაზე, აქვს ოჯახისთვის მატერიალური ტვირთის დაკისრების შიში და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების წინააღმდეგია. ამგვარ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან სამართლებრივი რეაგირება (თუნდაც ნაკლებად მკაცრი) დაზარალებულსა და პოტენციურ ბრალდებულში, ზოგჯერ საზოგადოების წევრებშიც, იწვევს უარყოფით განცდებს, სამართალდამცავი ორგანოების მიმართ აყალიბებს მცდარ შეხედულებებს, სახელმწიფოს და მისი სახელით მოქმედ პროკურატურას, სასამართლოს წარმოაჩენს ერთგვარ „მონსტრად“, რომელიც ანგრევს ოჯახს. მითითებული მიზეზების გამო, დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, უკანა პლანზე იწევს საჯარო ინტერესი, დევნა დაიწყოს იმ პირის მიმართ, რომელმაც 16 წლამდე პირთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას.

არასათანადო ინფორმირებულობისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიის ნაკლებობის პირობებში, საზოგადოებას უჭირს იმის აღქმა, თუ რატომ არის ქმედება დანაშაული, მითუმეტეს, როცა მას ოჯახის ერთი წევრი მეორის მიმართ ნებაყოფლობით სჩადის ან პარტნიორები ოჯახის შექმნის მიზნით და ოჯახური თანაცხოვრებისას სჩადიან. პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ სოციუმში (მაგალითად აზერბაიჯანელი ეროვნების საზოგადოებაში), სადაც ნაადრევ ასაკში ქორწინება ტრადიციას წარმოადგენს და წეს-ჩვეულებებიდან გამომდინარეობს. ანალიზის თანახმად, თითქმის ყოველი მესამე ფაქტი აზერბაიჯანელი ეროვნების პირებს შორის ხდება.

ზოგიერთ საქმეზე დაზარალებული და ბრალდებული იმასაც აცხადებდნენ, რომ ბრალდებულმა ცოლად მოყვანის დროს არ იცოდა დაზარალებულის რეალური ასაკი და ცოლად მოიყვანა, როგორც 16 წელს მიღწეული, რისი ჭეშმარიტებაც ნაკლებად სარწმუნოა, თუმცა საპირისპიროს დადასტურებაც რთულია. აღნიშნულ შემთხვევებში დაზარალებული პირის პოზიციაა არ იქნეს დევნა დაწყებული მისი მეუღლის მიმართ და კითხვის ნიშნის ქვეშ დგას პოტენციური ბრალდებულის დასჯის საჯარო ინტერესიც, რომელმაც 16 წლამდე პირთან დაამყარა სქესობრივი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნითა და ოჯახური თანაცხოვრების დროს[65].

მაგალითი 1 - *სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან სამართალდამცავ ორგანოში შემოსული იყო შეტყობინება, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანი გოგონას მშობიარობის ფაქტს. ფაქტზე დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით - სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან. გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ სრულწლოვანმა - 19 წლის მამაკაცმა ცოლად მოიყვანა (ფაქტობრივი ქორწინება) წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველი - 14 წლის გოგონა, რომელთანაც აღნიშნული პერიოდიდან არაერთხელ დაამყარა სქესობრივი კავშირი. საქმეზე გამოძიების ჩატარების მომენტისათვის აღნიშნულ წყვილს უკვე ჰყავდა 1 შვილი და*

[65] იხ. ,,სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან“, საქართველოს მთავარი პროკურატურა, 2016 წელი.

ამავე დროს, დაზარალებული აცხადებდა, რომ ნებაყოფლობით ჰქონდა ბრალდებულთან სქესობრივი კავშირი და არ სურდა მისი მეუღლე მიეცათ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში, თუმცა, მიუხედავად ამისა, მამაკაცის ქმედება სამართლებრივად დაკვალიფიცირდა 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივ კავშირად; შესაბამისად, მას წარედგინა ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით და მასთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება პირობით 5 წლით თავისუფლების აღკვეთასა და 500 ლარ ჯარიმაზე.

მაგალითი 2 - *საქმეზე 58 წლის ბრალდებულმა სქესობრივი კავშირი დაამყარა 12 წლის დაზარალებულთან. მას წარედგინა ბრალი 140-ე მუხლით - სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი და სხვაგვარი სექსუალური კონტაქტი გაუკუღმართებული ფორმით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან. საქმე დასრულდა განაჩენით და ბრალდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.*

აღნიშნული ორი საქმიდან გამომდინარე, ცხადია, რომ კანონი საერთო ჭრილში განიხილავს ოჯახის შექმნის მიზნით ან ოჯახური თანაცხოვრებისას 16 წლამდე პირებთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, ანუ ნაადრევი ქორწინების შემთხვევებს და ოჯახის შექმნის მიზნის გარეშე 16 წლამდე პირთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემთხვევებს და შესაბამისად, არ იძლევა ქმედების ხასიათისა და სიმძიმის მიხედვით სასჯელის დიფერენცირების შესაძლებლობას. ამგვარმა რეალობამ და საზოგადოების განწყობებმა განაპირობა სსკ-ის 140-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ჩამოყალიბება, რომლის თანახმად, ოჯახის შექმნის მიზნით და ოჯახური თანაცხოვრებისას დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე ფორმდება საპროცესო შეთანხმება „არასაპატიმრო სასჯელზე“. აღკვეთის ღონისძიების ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების პრაქტიკა სხვა მიზეზებთან ერთად განპირობებულია იმითაც, რომ უმრავლეს შემთხვევაში, ფორმალურადაც არ არსებობს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სსსკ-ით გათვალისწინებული საფუძველი. რეალურად არსებული ერთადერთი საფუძველი - დანაშაულის განმეორების საფრთხე - არასერიოზულად აღიქმება როგორც სასამართლოს, ისე საზოგადოების მიერ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ მოქმედი კანონმდებლობის პირობებში, ნებისმიერ შემთხვევაში 16 წელს მიუღწეველ პირთან სრულწლოვნის სქესობრივი კავშირი კვალიფიცირდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით, ხოლო ყველა ბრალდებულის მიმართ ინდივიდუალურად, კონკრეტული ფაქტორების გათვალისწინებით წყდებაშემამსუბუქებელი გარემოებებისა და ადეკვატური სასჯელის საკითხი.

იძულებითი ქორწინება (მუხლი 1501)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2014 წელს განხორციელებული ცვლილებით, კრიმინალიზებული იქნა ქორწინების იძულება (მუხლი 150[1]), რაც განპირობებული იყო აღნიშნული პრობლემის აქტუალობით, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ერთეულებში, სადაც იძულებით ხდება გოგონების, განსაკუთრებით არასრულწლოვნების დაქორწინება. შედეგად ხდება არასრულწოვანთა მიერ სკოლაში განათლების მიღების შეწყვეტა, მათი თავისუფალი არჩევანის უფლების დარღვევა, რასაც ხშირად მოჰყვება მათ მიმართ ოჯახში ძალადობაც.

მიუხედავად თემის აქტუალურობისა, აღნიშნული ცვლილების ძალაში შესვლიდან სისხლისსამართლებრივი დევნა ამ დანაშაულისათვის მხოლოდ რამდენიმე საქმეზეა დაწყებული.

გამოძიების დაწყებას ძირითადად საფუძვლად ედება სახალხო დამცველის აპარატიდან ან არასამთავრობო ორგანიზაციიდან სამართალდამცავ ორგანოში შესული შეტყობინება ქორწინების იძულების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ამ დანაშაულს აქვს მეტად ლატენტური ხასიათი, თავად დაზარალებული არცერთ შემთხვევაშია განცხადების ავტორი. დაზარალებულები თავს იკავებენ ნათესავების, მშობლების წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან. საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას, პოტენციური დაზარალებულები და მოწმეები უარყოფენ ქორწინების იძულების ან რაიმე მსგავს ფაქტს.

Case discussion:

1 - *საქმეზე გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო პოლიციაში შესული სახალხო დამცველის აპარატის განცხადება, რომ ერთ-ერთი რაიონის მე-9 კლასის მოსწავლე, მშობლების ინიციატივით დაინიშნა და ჩანიშნულია ქორწილი. საქმეზე მოწმის სახით დაკითხვისას აღნიშნულმა პიროვნებამ უარყო მისი დანიშვნისა და მოსალოდნელი ქორწინების ფაქტი. მისივე განმარტებით, მის მიმართ რაიმე სახის ფიზიკურ და ფსიქოლოგიური ძალადობას, იძულებით ქორწინების მოთხოვნას და მისი ნების საწინააღმდეგოდ სქესობრივ კავშირს ვინმეს მხრიდან ადგილი არ ჰქონია. მისი ჩვენება დაადასტურეს მშობლებმაც. საქმეზე ჩატარებული გამოძიებით არ დადგინდა ქორწინების იძულების ფაქტი და საქმეზე გამოძიება შეწყვეტილი იქნა.*

2- *საქმეზე დადასტურდა ქორწინების იძულების ფაქტი, კერძოდ: ბრალი წარედგინა სრულწლოვან მამაკაცს, რომელმაც საკუთარი ავტომანქანით სხვა ქალაქში წაიყვანა არასრულწლოვანი გოგონა, რა დროსაც იგი აიძულებდა მას გაყოლოდა ცოლად, ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ცდილობდა დაეთრგუნა მისი უარი, რაც გაგრძელდა მთელი დღის განმავლობაში. ბრალდებულს სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლის ვადით პირობით თავისუფლების აღკვეთა.*

გადრა არსებული პრაქტიკისა, კანონმდებლის მიზანი იყო ამ დანაშაულის სუბიექტად ექცია ასევე დაზარალებულის მშობელი, ოჯახის წევრი, ნათესავი, სხვა პირები, რომლებმაც აიძულეს მას ქორწინება, ტრადიციების გავლენით, ანგარების, თუ სხვადასხვა მოტივით. შესაბამისად, ქორწინების იძულების თაობაზე შეტყობინების მიღებისთანავე უნდა დაიწყოს გამოძიება და ჩატარდეს ყველა აუცილებელი საგამოძიებო მოქმედება იმის დასადგენად, რეალურად ჰქონდა თუ არა ადგილი დაზარალებულის იძულებას, რომ შეექმნა ოჯახი (მათ შორის არარეგისტრირებული ქორწინება) მისი ნების საწინააღმდეგოდ. იძულება უნდა იყოს გამოხატული დაზარალებულისათვის ქმედების თავისუფლების შეზღუდვაში, მის ფიზიკურ და ფსიქიკურ იძულებაში შეასრულოს ან არ შეასრულოს ისეთი მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

გარდა ფიზიკური იძულებისა, აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს დაზარალებულზე ფსიქიკურ და ემოციურ ზეწოლაში, ტრადიციების თავს მოხვევით, რომ თუ არ გათხოვდება, შეარცხვენს ოჯახს; სწავლის იძულებით შეწყვეტით, დამუქრებით, რომ ოჯახი აღარ არჩენს მას; მის სანაცვლოდ მეორე მხარისაგან ქონებრივი სარგებლის მიღებით და ა.შ.

იმავე ქმედების ჩადენა არასრულწლოვნის მიმართ არის დამამძიმებელი გარემოება და ისჯება უფრო მკაცრად - თავისუფლების აღკვეთით 2-დან 4 წლამდე.

ქალთა თავის დაცვის უფლება მათ მიმართ განხორციელებული ძალადობისგან

მსხვერპლის აუცილებელი მოგერიების უფლება

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა იძლევა ძალადობის მსხვერპლი ქალის სისხლისსასამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესაძლებლობას, თუ მან მოძალადის მიმართ დანაშაული ჩაიდინა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში სსკ) 28-ე მუხლის თანახმად, მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც დანაშაულს ჩაიდენს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი ვინც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისას დააზიანებს ხელმყოფს თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთის დასაცავად. [66]

„აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების წინაპირობებია: ა) თავდასხმა, რომელიც ხელყოფს პირის ან სხვის სამართლებრივ სიკეთეს, მაგალითად, სიცოცხლეს, ჯანმრთელობას... ბ) ხელყოფა უნდა იყოს იმწუთიერი, მაშასადამე, იგი უნდა იყოს უშუალოდ დაწყების პროცესში, უკვე დაწყებული ან ჯერ კიდევ მიმდინარე (შურისძიების

[66] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი

ნიადაგზე ან პრევენციისთვის განხორციელებული ქმედება არ წარმოადგენს აუცილებელ მოგერიებას); გ) ხელყოფა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაშასადამე, აუცილებელი მოგერიების უფლება მაშინაც არსებობს, როდესაც ხელმყოფი არაბრალეულად მოქმედებს; დ) თავდაცვითი ქმედება უნდა იყოს აუცილებელი, ანუ დაცვის საშუალება უნდა იყოს მოწოდებული ხელყოფის მყისიერად და საბოლოოდ აღსაკვეთავად ან მინიმუმ მის შესასუსტებლად.“ [67]

ამდენად, გამოძიებით თუ დადგინდა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალი თავის დაცვის რეჟიმში იმყოფებოდა და აღნიშნული საფუძვლით ხელყოფს მოძალადის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში სსსკ) 105-ე მუხლის 1 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროკურორი ვალდებულია არ დაიწყოს ანდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოძიება. [68] *ასევე, სასამართლოს შეუძლია აღნიშნული საფუძველი გაითვალისწინოს და პირის მიმართ შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა ანდა დაადგინოს გამამრთლებელი განაჩენი.*

პრაქტიკა: 42 წლის მამაკაცს თ.გ.-ს სქესობრივი კავშირი ჰქონდა 16 წელს მიუღწეველ ს.-გ.სთან. აღნიშნული სახელგამტეხი ფაქტის გახმაურების მუქარით, თ.გ. არასრულწლოვან ს.გ.-ს დაახლოებით, 8 თვის მანძილზე სისტემატიურად აიძულებდა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას. ასევე, თ.გ.-ს ემუქრებოდა, მისი მოთხოვნის დაუკმაყოფილების შემთხვევაში, სიცოცხლის მოსპობით და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზიანებით. ს.გ.-ს მოძალადის მუქარის რეალურად განხორციელების სჯეროდა. ერთ დღეს, თ.გ-მ გაღიზიანებულმა იმ ფაქტით, რომ ს.გ.-მ მუქარების მიუხედავად მასთან ურთიერთობის შეწყვეტა საბოლოოდ გადაწყვიტა, ამ უკანასკნელს დაუწყო ცემა. ცემის დროს დანით ს.გ.-ს მიაყენა ჭრილობა ფეხის არეში. თან ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით. ს.გ.-ს სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხე გახდა იმწუთიერი და რეალური. ს.გ.-ს შეეშინდა და გაუჩნდა თავდაცვის ინსტიქტი, ამ დროს თ.გ.-ს ხელიდან გაუვარდა სამზარეულოს დანა, რაც აიღო სალომემ და მოძალადის თავიდან მოშორების მიზნით მას დაარტყა გულმკერდის არეში, რის შედეგადაც თ.გ. გარდაიცვალა. აღნიშნულ საქმეზე, პროკურორის გადაწყვეტილებით შეწყდა გამოძიება ვინაიდან ს.-ს ქმედება არ იყო მართლსაწინააღმდეგო და იგი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში.

აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება არ წარმოადგენს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებას, თუმცა კანონი ითვალისწინებს

---

[67] იხ. განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, გვ. [http://library.court.ge/gil/index.php?term_id=147]

[68] იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 10 დეკემბრის 86-კოლ განჩინება;

ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 20016 წლის 12 იანვრის განჩინება 2 კ-624 აპ-05 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2006-3-uni.pdf

შეღავათიან სანქციებს როგორც აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ მკვლელობისთვის (სსკ-ის 113 მუხლი), ასევე აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის (სსკ-ის 122 მუხლი).[69] *ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე შესწავლილ უნდა იქნეს ძალადობის წინარე მოვლენები და მათი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დანაშაულთან. სისტემატური ძალადობის მსხვერპლი ქალები შესაძლებელია თავად გახდნენ მოძალადის სიცოცხლის და ჯანმრთელობის ხელმყოფები, ამიტომ აუცილებელია გამოკვლეულ იქნეს ხომ არ არსებობს მათი ქმედების მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება.*

მსხვერპლის მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობაზე უარის თქმის სამართლებრივი მექანიზმები

ძალადობის მსხვერპლი ქალი, განსაკუთრებით ოჯახური ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, ხშირ შემთხვევაში სხვადასხვა მიზეზით (შიში, სირცხვილი, სახელგამტეხი, პირადი ინფორმაციის გავრცელების თავიდან არიდება, ტრადიციები, ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე..) უარს ამბობს საგამოძიებო ორგანოსთვის ანდა სასამართლოში ჩვენების მიცემაზე.[70] სსსკ-ის თანახმად, ოჯახის წევრის მხრიდან ძალადობის მსხვერპლ ქალს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება თავისი ახლო ნათესავის წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში მას არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჩვენების მიცემაზე უარის თქმისთვის[71]. ახლო ნათესავში იგულისხმება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის განქორწინებული). სამართლის ნორმის ანალოგიის გამოყენებით, მეუღლეს უთანაბრდება არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები. მსხვერპლის თანამშრომლობა საგამოძიებო ორგანოსთან მნიშვნელოვანია მოძალადის მიმართ ეფექტური სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით. დაზარალებულის ჩვენება არის ერთ-ერთი პირდაპირი მტკიცებულება, რაც საფუძვლად შესაძლებელია დაედოს პირის მიმართ ბრალდებას. სექსუალური/ოჯახური ძალადობის მსხვერპლი ქალების მიერ ჩვენების არ მიცემამ

[69] ძალადობის მსხვერპლი ქალის მიერ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილ ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა არ არსებობს, თუმცა საინტერესოა ზოგადად უზენაესი სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 2 ივნისის 115 აპ განჩინება, http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2006-9-uni.pdf გვ. 40, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 26 დეკემბრის #349-აპ-12 განაჩენი, გვ.5 http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/sisxli-2012-7-12-uni.pdf

[70] იხ. საქართველოს პროკურატურის 2014-2015 წლების ძალადობრივი დანაშაულის ანალიზი, გვ. 10 http://pog.gov.ge/res/docs/holideiinn/zaladobistendenciebi_2015.pdf

[71] სსკ 371 მუხლი, სსსკ 49 მუხლი;

ანდა სასამართლო განხილვის ეტაპზე შეცვლამ შესაძლებელია გამოიწვიოს მოძალადის განთავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ანდა გამართლება. აღნიშნულის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია საგამოძიებო ორგანომ მოიძიოს და შეკრიბოს ყველა შესაძლო პირდაპირი მტკიცებულება (მოწმეთა ჩვენებები, სამედიცინო პერსონალის ჩვენება, სამედიცინო დოკუმენტაცია..). ასევე, თუ დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლა ანდა არ მიცემა გამოწვეულია ბრალდებულთან კომუნიკაციის შიშით, მისი თანდასწრების დისკომფორტით, პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილებით შესაძლებელია მოწმის დისტანციური დაკითხვა. [72] აღნიშნული სამართლებრივი საშუალება, პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა გამოიყენოს დაზარალებულის მხარდაჭერისა და მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით.

ასევე, მსხვერპლის სამართალდამცავი სტრუქტურისადმი ნდობის გაღრმავების მიზნით აუცილებელია ის ჩართული და ინფორმირებული იყოს გამოძიების მიმდინარეობისა და სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ. მსხვერპლისთვის გამოძიების ადრიან ეტაპზე უნდა მოხდეს პროკურორის მიერ დაზარალებულის სტატუსის მინიჭება, რათა მან ისარგებლოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებამოსილებით. ასევე, აუცილებელია პროცესის მწარმოებელმა ორგანომ (პროკურორმა, მოსამართლემ) დაზარალებულს მისთვის გასაგები ფორმით განმერტოს მისი უფლებების შესახებ, მათ შორის გამოძიების მიმდინარეობის/ სასამართლო განხილვის რა ეტაპზე რა ტიპის ინფორმაციის (მოძალადის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ანდა შეწყვეტის შესახებ, აღკვეთის ღონისძიების განხილვის, წინასასამართლო სხდომის, არსებითი განხილვის სხდომის თარიღის შესახებ) მიღების უფლება აქვს. მათ შორის, დაზარალებულს უნდა განემარტოს რომ მას, მოთხოვნის შემთხვევაში უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია ბრალდებული/მსჯავრდებული მოძალადის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ. [73]

ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში სამართალდამცავი სტრუქტურის მიმართ სათანადო ნდობის არ არსებობა, ასევე მოძალადესთან მოსალოდნელი კომუნიკაციის შიში არის გადამწყვეტი, რაც განაპირობებს მსხვერპლი ქალის მიერ სამართალდამცავი სტრუქტურებთან თანამშრომლობისგან თავის შეკავებას, აუცილებელია ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე აქტიურად იყოს ჩართული პროკურატურის სისტემის მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი, რომელიც აქტიურად იმუშავებს მსხვერპლთან, გაუწევს ფსიქოლოგიურ და სამართლებრივ კონსულტაციას და დაარწმუნებს მას საგამოძიებო ორგანოსთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე.[74]

---

[72] სსსკ 243 მუხლი

[73] სსსკ-ის 57-58 მუხლები

[74] იხ. დეტალური ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ http://pog.gov.ge/geo/witness

დაკავებულ ქალთა უფლებები/ ბრალდებული ქალები

1. საპოლიციო კონტროლის/ ღონისძებების განხორციელება მდედრობითი სქესის მოქალაქეებთან მიმართებაში

საპოლიციო კონტროლის გარკვეული ღონისძიებების განხორციელების დროს, პოლიციამ უნდა გაითვალისწინოს მოქალაქის სქესი. ქალის მიმართ ზედაპირული შემოწმების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მდედრობითი პოლიციელის მიერ. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ზედაპირული შემოწმება შეიძლება განახორციელოს ნებისმიერმა პოლიციელმა მხოლოდ სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით. [75] მაგ. სკანერის, შესამოწმებელი დეტექტორის საშუალებით. ანალოგიური წესი მოქმედებს მდედრობითი პირის სპეციალური შემოწმებისა და დათვალიერების დროს. [76]

2. ადმინისტრაციული დაკავების წესი და სახდელის დაკისრება ქალი სამართალდამრღვევის მიმართ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მარეგულირებელი კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეულ წესებს და გამონაკლისებს, როდესაც სამართალწარმოების სუბიექტი არის მდედრობითი სქესის პირი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მდედრობითი სქესის პირის დაკავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვა სქესის პირის მიერ, თუმცა პირის პირადი გასინჯვა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმავე სქესის წარმომადგენილის მიერ.[77]

ადმინისტრაციული პატიმრობის მაქსიმალური ვადა არის 15 დღე. თუმცა მისი შეეფარდება არ შეიძლება ორსული ქალის და იმ ქალების მიმართ, რომლებსაც ჰყავთ თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვები. [78]

---

[75] საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მუხლი 22, მე-3 პუნქტი

[76] იქვე, მუხლი 23, მე-3 პუნქტი

[77] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 248

[78] იქვე, მუხლი 32

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის შემამასუბუქებელ გარემოებად ითვლება სამართალდარღვევის ჩადენა ორსული ქალის ან იმ ქალის მიერ, რომელსაც ერთ წლამდე ასაკის ბავშვი ჰყავს.[79]

ამდენად, ქალთა უფლებების დაცვაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ნორმები აქტიურად უნდა იქნეს გამოყენებული სამართალდამცავი სტრუქტურების წარმომადგენელების თუ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას.

3. ქალ ბრალდებულები და მათი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების თავისებურებანი

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ადგენს გარკვეულ წესებს, როდესაც პროცესის მონაწილე პირი არის მდედრობითი სქესის. კერძოდ, თუ პროცესის მონაწილე პირის პირად ჩხრეკას თან სდევს გაშიშვლება, იგი უნდა ჩაატაროს იმავე სქესის პირმა. ამ დროს საგამოძიებო მოქმედებაში დასაშვებია მხოლოდ იმავე სქესის პირთა მონაწილეობა. აღნიშნული წესი არის იმპერატიული ხასიათის. [80] ასევე, თუ საგამოძიებო მოქმედება ითვალისწინებს გაშიშვლებას (მად. სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება) შესამოწმებელი პირის (ქალი ბრალდებულის) მოთხოვნის შემთხვევაში ექსპერტი და მხარე უნდა იყვნენ იმავე სქესის, რომელი სქესისაც არის შესამოწმებელი პირი.[81] *ამდენად, პირადი ჩხრეკისგან განსხვავებით, მდედრობითი სქესის ბრალდებულის მიმართ სხვა საგამოძიებო მოქმედება შეიძლება ჩაატაროს სხვა სქესის წარმომადგენელმა, თუ ამის წინააღმდეგი არ არის თავად ბრალდებული. თუმცა, აუცილებელია განემარტოს ქალ ბრალდებულს, რომ მას აქვს უფლება მოითხოვოს მისივე სქესის პირის მიერ ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, რაც დაკავშირებულია მის გაშიშვლებასთან.*

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს რაიმე სახის განსხვავებულ მიდგომას ქალ და მამაკაც ბრალდებულების მიმართ. თუმცა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის ოჯახურ მდგომარეობას, რაც გულისხმობს შვილების ასაკისა და მათი საჭიროებების გათვალისწინებას. [82]

---

[79] იქვე, მუხლი 34

[80] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 121

[81] იქვე, მუხლი 111

[82] იქვე, მუხლი 198

ასევე, თუ ქალ ბრალდებულს დაკავების ან დაპატიმრების შემთხვევაში ჰყავს არასრულწლოვანი შვილი, ხანდაზმული მშობელი ან სხვა პირი, რომელიც მის კმაყოფეზაზე იყო და რომელიც ზედამხედველობისა და დახმარების გარეშე რჩება, პროკურორი და მოსამართლე ვალდებული არიან ისინი სამეურვეოდ გადასცენ ნათესავს, სხვა პირს ან შესაბამის დაწესებულებას. ამდენად, პროკურომა და მოსამართლემ დეტალურად უნდა გამოიკვლიონ ქალ ბრალდებულთა ოჯახური მდგომარეობა, განსაკუთრებით, ხომ არ ჰყავს მას არასრულწლოვანი შვილები და გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები (მაგ., თუ ბრალდებულს ჰყავს არასრულწლოვანი შვილები, რომლებიც ზედამხედველობის გარეშე რჩებიან, აუცილებელია მეურვეობისა და მზურველობის ორგანოს ოპერატიული ჩართვა), რათა არ დაზარალდეს არასრულწლოვანთა ინტერესები და საფრთხე არ შეექმნას მათ ჯანმრთელობას და სიცოცხლეს. ასევე, გატარებული ღონისძიებების შესახებ აუცილებელია ქალი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინფორმირება.[83]

4. ქალი მსჯავრდებულების მიმართ სასჯელის დანიშვნის თავისებურება

სისხლის სამართლის კანონმდებლობა გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს ორსული ქალების, მცირეწლოვანი შვილის დედების და ხანდაზმული ქალების მიმართ. კერძოდ, სასჯელის სახეები, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა და თავისუფლების შეზღუდვა არ დაენიშნება ორსულ ქალს, ქალს, რომელსაც ჰყავს შვიდ წლამდე შვილი.[84] აღნიშნული წესი არის სავალდებულო ხასიათის და არ არის სასამართლოს შეხედულებაზე დამოკიდებული. თუმცა, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მოსამართლის უფლებაა და არა ვალდებულება გაითვალისწინოს მსჯავრდებულის სქესი და მისი დედობის ფაქტორი. მაგალითად, სსკ-ის 75-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს სასჯელის მოხდა ორსულ ქალს, მშობიარობის შემდეგ 1 წლამდე. ასევე, სასამართლო უფლებამოსილია როდესაც შვილი 1 წლის ასაკს მიაღწევს, გაათავისუფლოს მსჯავრდებული სასჯელის მოუხდელი ნაწილის მოხდისგან ან სასჯელის მოუხდელ ნაწილი შეუცვალოს უფრო მსუბუქი სახის სასჯელით. რეკომენდებულია, მოსამართლემ მაქსიმალურად გაითვალისწინოს ორსული ქალის და მცირეწლოვანი ბავშვის საჭიროებანი და აქტიურად გამოიყენოს აღნიშნული საკანონმდებლო ნორმა.

[83] სსსკ 178-ე მუხლი

[84] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 44, 47 მუხლები

5. ქალი მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის მოხდის თავისებურებანი

ქალი მსჯავრდებული სასჯელს იხდის ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში. ასევე შესაძლებელია, დედის სურვილის შემთხვევაში 3 წლამდე ბავშვის მასთან განთავსება. აღნიშნულ შემთხვევაში, პენიტენციური დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის კვებას, სამედიცინო მომსახურებასა და სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებს.[85] ასევე, პენიტენცური დაწესებულება უზრუნველყოფს ქალ პატიმართა ჰიგიენური საშუალებებით მომარაგებას.

ქალ მსჯავრდებულებს უფლება აქვს ჰქონდეთ კანონით განსაზღვრული ოდენობის და ხანგრძლივობის ხანმოკლე პაემანი, სატელეფონო საუბრის შესაძლებლობა, საოჯახო პაემანი და ვიდეო პაემანი. წახალისების ფორმად კანონი ითვალისწინებს პაემნების/სატელეფონო საუბრის რაოდენობის და ხანგრძლივობის გაზრდას. არ შეიძლება ორსული ქალის და მცირეწლოვანი შვილის დედის მიმართ ყველა ტიპის დისციპლინური სახდელის გამოყენება.[86]

საქართველოში ქალთა მხოლოდ ერთი პენიტენციური დაწესებულება არსებობს, სადაც ქალ პატიმართა მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველმა 2015 წელს სპეციალური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიში ასახავდა 2015 წელს მითითებულ დაწესებულებაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განხორციელებულ შედეგებს. მონიტორინგის დროს დაწესებულებაში სულ 272 სრულწლოვანი ქალი პატიმარი იმყოფებოდა, აქედან 52 ბრალდებული და 220 მსჯავრდებული, 3 ქალს ჰქონდა სამუდამო პატიმრობა მისჯილი, ხოლო ერთი მათგანი ორსულად იყო. სახალხო დამცველის მიერ პენინტენციური დაწესებულების მისამართით გაიცა მთელი რიგი რეკომენდაციები, მათ შორის ქალ ბრალდებულებისათვის ფსიქოლოგის მომსახურების მხარდაჭერის უზრუნველყოფა, ბავშვის მომვლელის მომსახურების უზრუნველყოფა, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაბადებული ბავშვის გარე სამყაროსთან შეგუების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება და სხვა.[87] ვინაიდან, ქალ მსჯავრდბულებისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის დანიშვნას ნეგატიური გავლენა შეუძლია იქონიეს არა მხოლოდ თავად ქალ მსჯავრდებულზე, არამედ მცირეწლოვანზეც, სასჯელის სახის და ზომის *განსაზღვრის დროს, აღნიშნული ფაქტორი მაქსიმალურად უნდა იყოს გათვალისწინებული პროკურორის და მოსამართლის მიერ.*

---

[85] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 72

[86] საქართველოს კანონი „პატიმრობის კოდექსი“, მუხლი 82

[87] ანგარიში დეტალურად იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3285.pdf

6. პატიმარი ქალები - ფსიქოლოგიური პორტრეტი და არსებული სტერეოტიპები

ქართულ საზოგადოებაში ყოფილი ქალი პატიმრების მიმართ ოჯახისა და საზოგადოების წევრების მხრიდან არსებობს სტერეოტიპული დამოკიდებულება, რაც იწვევს მათ გაუცხოვებასა და რესოციალიზაციის შეფერხებას.[88] მსჯავრდებულ ქალთა რეაბილიტაციის მიზნით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო ახორციელებს პატიმართა სხვადასხვა სახის სახელობო და პროფესიულ სწავლებებს, *მაგ. სტილისტის კურსები, ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსი და ა.შ.*[89] *თუმცა, მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან გატარებული შესაბამისი ღონისძიებისასა, ქალი მსჯავრდებულები მაინც განიცდიან გაუცხოვებას საზოგადოების მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ. ამიტომ, პროკურორისა და მოსამართლის მიერ ქალი მსჯავრდებულებისთვის სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენების გადაწყვეტილების მიღებამდე, სასურველია თანმდევი ნეგატიური ფაქტორი მაქსიმალურად იყოს გათვალისწინებული.*

ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ქალები

ტრეფიკინგის კრიმინოლოგიური ასპექტები

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) წარმოადგენს მონობის თანამედროვე ფორმას, რომლის დროსაც მოძალადე სარგებლობს ადამიანის სისუსტით, უმწეობით, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების და მათი ექსპლუატაციის გზით იღებს შემოსავალს.

---

[88] ყოფილი პატიმრების საზოგადოებაში არსებული სტიგმების შესახებ იხილეთ სტატია „ქალის გზა ციხიდან საზოგადოებამდე“, http://www.newpress.ge/qalis-gza-cixidan-sazogadoebamde

[89] იხ. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ვებ გვერდი http://www.moc.gov.ge/ka/zrunva-qalebze/msjavrdebul-qaltha-reabilitacia

საქართველო არის ტრეფიკინგის წარმოშობის[90], ტრანზიტის[91] და დანიშნულების[92] ქვეყანა სექს ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისთვის. იძულებითი შრომის მსხვერპლებად გვევლინებიან ქალები და ბავშვები. ასევე, საქართველო გვევლინება ცენტრალური აზიაში მცხოვრებ ქალთა სატრანზიტო ქვეყანად, რომელთა ექსპლუატაცია ხორციელდება თურქეთში. ქალები აზერბაიჯაიდან და ცენტრალური აზიიდან ხდებიან იძულებითი პროსტიტუციის მსხვერპლები აჭარის რეგიონში. უმეტესი იდენტიფიცირებული მსხვერპლი არის ახალგაზრდა ქალბატონი, რომელიც იყო სამუშაოს მაძიებელი. [93]

ტრეფიკინგის ფორმებს შორის საქართველოში ყველაზე ხშირად გვხვდება ქალთა სექსუალური ექპლუატაციის ფაქტები. ასევე, გავრცელებულია საქართველოს მოქალაქეთა შრომითი ექსპლუატაცია საქართველოს ფარგლებს გარეთ. [94]

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში მიმდინარეობს კომპლექსურად, რომელიც მოიცავს პრევენციული ღონისძიებების გატარებას, ტრეფიკიორთა გამოვლენასა და დასჯას, მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებას და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანოებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას. საქართველოს მთავარობა გატარებული ღონისძიებების შეფასების მიხედვით, სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგის აღმოფხვრის მინიმუმ სტანდარტებს და აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2016 წლის ანგარიშით შეფასებულია როგორც წარმატებული, პირველი კალათის ქვეყანა. [95]

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)- დანაშაული ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის)

[90] წარმოშობის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის მოქალაქე ან რომელში მუდმივად მცხოვრები პირი არის ტრეფიკინგის მსხვერპლი

[91] ტრანზიტის სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიის გავლითაც ხორციელდება ტრეფიკინგი

[92] დანიშნულების სახელმწიფო – სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზედაც ტრეფიკინგის მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას

[93] იხ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ტრეფიკინგის ანგარიში, გვ. 176 http://www.state.gov/documents/organization/258876.pdf

[94] 2010-2016 წლების ტრეფიკინგის ფაქტების ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია იხ. http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/357

[95] იხ. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2016 წლის ტრეფიკინგის რეპორტი, გვ. 176 http://www.state.gov/documents/organization/258876.pdf

წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ და სსკ. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) დასჯადია სსკ-ს 143[1] მუხლით. ტრეფიკინგი წარმოადგენს კომპლექსურ დანაშაულს, რომელიც გამოხატულია კონკრეტულ ქმედებებში, განხორციელების საშუალებებსა და ქმედების მიზანში. ამდენად, ტრეფიკინგი არის ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.[96]

ექსპლუატაციის ფორმა შესაძლებელია გამოიხატოს:

- შრომის ან მომსახურების გაწევის იძულებაში;
- სექსუალური მომსახურების გაწევის იძულებაში;
- პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმაში;
- ადამიანის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის იძულებით ან მოტყუებით ამოღება, გადანერგვა ან სხვაგვარად გამოყენებაში;
- ადამიანის მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებაში;[97]

სსკ 143[2] მუხლის თანახმად დასჯადია არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი, რა დროსაც არასრულწლოვნის მიმართ ექსპლუატაციის განხორციელებას არ არის საჭირო წინ უძღოდეს ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებების გამოყენება. [98]

მნიშვნელოვანი სამართლებრივი ასპექტია ის, რომ პირის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე თანხმობას მნიშვნელობა არ აქვს.

სსკ 143[3] მუხლის თანახმად, დასჯადია ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა. თუმცა კანონი, ტრეფიკინგის ფაქტების გამოვლენის გაზრდის მიზნით, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს პირს, რომელმაც ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედება ჩაიდინა, თუ მან ამის თაობაზე ინფორმაცია

---

[96] სსკ 143[1] მუხლი

[97] სსკ 143[1] მუხლის სამართლებრივი კომენატრი იხ. შემდეგ დოლუმენტში „ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა და დაზარალებულთა მოპყრობის სახელმძღვანელო პრინციპები სამართალდამცავი ორგანოებისათვის“ (შემდეგში - სახელმძღვანელო პრინციპები) (Anex #)

[98] სსკ 143[2] მუხლი

გამოძიების დაწყებამდე ნებაყოფლობით მიაწოდა საგამოძიებო ორგანოებს, ხელი შეუწყო გამოძიების წარმართვას და მის ქმედებაში არ არის სხვა დანაშაულის ნიშნები.[99]

პრაქტიკა: 2013 წლის აგვისტოში, დ. ა.-მ უზბეკეთიდან საქართველოში, მოტყუებით, თითქოსდა დასაქმების პირობით უზბეკეთის რესპუბლიკის მოქალაქე მ.ტ. ჩამოიყვანა. გრალდებული მ.ტ-ს პირდებოდა, რომ ქალაქ ბათუმში ერთ-ერთ სამედიცინო ცენტრში მედდად დაასაქმებდა, სადაც ხელფასის სახით 500 აშშ დოლარს გადაუხდიდნენ. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, ტრეფიკიორმა მ.ტ-ს ჩამოართვა უზბეკეთის მოქალაქის პასპორტი, შეუზღუდა თავისუფლად გადაადგილების უფლება, ფიზიკური ანგარიშსწორების მუქარით, ძალადობით და შანტაჟითა აიძულებდა ჩაბმულიყო პროსტიტუციაში და ამ გზით გამომუშავებული თანხა მიეცა ტრეფიკიორისთვის. 2015 წელს, ტრეფიკიორის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელის სახედ და ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

ტრეფიკინგის მომიჯნავე დანაშაულები, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდნენ ტრეფიკინგის შემადგენელ ეტაპებს და რაზეც სამართალდამცავი სტრუქტურის წარმომადგენლების, მათ შორის პროკურორის მხრიდან უნდა გამახვილდეს ყურადღება არის შემდეგი: საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა [100], პროსტიტუციისათვის ადგილის გადაცემა[101], პროსტიტუციაში ჩაბმა[102] და არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმა.[103] ამ ფაქტების გამოძიებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს დანაშაულის მსხვერპლი ან თავად დანაშაულის სუბიექტი ხომ არ არის ტრეფიკინგის მსხვერპლი.[104]

ტრეფიკინგის ფაქტების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის თავისებურებანი

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური განხორციელების მიზნით ადამიანით ვაჭრობის ფაქტზე გამოძიება უნდა დაიწყოს ტრეფიკინგის შესაძლო ფაქტის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე. უპირატესობა უნდა მიენიჭოს პროაქტიული გამოძიების

[99] სსკ 143[3]-ე მუხლი
[100] სსკ 344-ე მუხლი
[101] სსკ 254-ე მუხლი
[102] სსკ 253-ე მუხლი
[103] სსკ 171-ე მუხლი
[104] იხ. სახელმძღვანელო პრინციპები

წარმოებას. ტრეფიკინგის ფაქტების გამოძიება უნდა განხორციელდეს ყოველმხრივ, ობიექტურად და ეფექტიანად. გამოძიების მიერ მოპოვებული უნდა იქნას ტრეფიკინგის ყველა ეტაპის დამადასტურებელი ყველა შესაძლო მტკიცებულება, რაც საფუძვლად დაედება ტრეფიკიორის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას. [105]

ტრეფიკიორების მიმართ არსებობს მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა, რაც გულისხმობს ტრეფიკიორების მიმართ მართლმსაჯულების ალტერნატიული ღონისძიებების არ გამოყენებას და კანონის ფარგლებში მაღალი სასჯელების დაწესებას.

ტრეფიკინგის საქმეებზე გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა აწარმონ შესაბამისი კვალიფიკაციის და გამოცდილების მქონე გამომძიებლებმა და პროკურორებმა, ხოლო სისხლის სამართლის საქმე სასურველია განიხილოს ამ მიმართულებით გადამზადებულმა და გამოცდილების მქონე მოსამართლემ.

მსხვერპლის იდენტიფიცირების პროაქტიული მეთოდების დანერგვის მიზნით შემუშავებულია სამართალდამცი ორგანოებისთვის სპეციალური ოპერატიული ღონისძიებები.[106]

პირისთვის ტრეფიკინგის მსხვერპლის მინიჭების საკითხს წყვეტს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან [107] შექმნილი მუდმივმოქმედი ჯგუფი, მიმართვიდან 48 საათში, [108] ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტის შესაბამისად.[109]

---

[105] იხ. სახელმძღვანელო პრინციპები

[106] აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა მოხმარების დოკუმენტს და შესაბამისად არ არის საჯარო.

[107] იხ. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 აპრილის დადგენილება N281 ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობისა და დებულების დამტკიცების შესახებ http://www.justice.gov.ge/Ministry/Department/332

[108] იხ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 11

[109] იხ.საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 1 თებერვლის #78 ბრძანებულება ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტებისა და წესის დამტკიცების

ტრეფიკინგის მსხვერპლს დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს პროკურორი, შესაბამის სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების მიმდინარეობისას.[110] ტრეფიკინგის მსხვერპლის სტატუსი არ არის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების წინაპირობა, ამასთან მსხვერპლისთვის კანონით დადგენილი შეღავათებითა და მხარდამჭერი პროგრამებით სარგებლობის უფლება არ არის დამოკიდებული გააჩნია თუ არა მსხვერპლს დაზარალებულის პროცესუალური სტატუსი.

კანონმდებლობა ითვალისწინებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა სამართლებრივ დაცვის გარანტიებს, როგორიცაა იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება, სამართლებრივი წარმომადგენლის ჰყოლის უფლება, თარჯიმნის მომსახურებით, გამოძიების/სისხლისსამართლებრივი დევნის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, უსაფრთხოების უფლება, სასამართლო განხილვის დახურულ სხდომაზე ჩატარების უფლება.[111]

მსხვერპლის უფლებების დაცვის გარანტიას წარმოადგენს მსხვერპლისთვის მოსაფიქრებელი არანაკლებ 30 დღიანი ვადის დაწესება, რა პერიოდშიც მას უფლება აქვს არ ითანამშრომლოს საგამოძიებო ორგანოსთან.[112] ტრეფიკინგის მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა ისე უნდა წარიმართოს, რომ იგი არ გახდეს მეორეული ვიქტიმიზაციის მსხვერპლი. გამოკითხვა/დაკითხვა სასურველია აწარმოოს იმავე სქესის პირმა.[113]

ტრეფიკინგის მსხვერპლი თავისუფლდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან თუ მან მსხვერპლად ყოფნის გამო ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე და 185-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედება, ასევე მსხვერპლი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თუ მან ჩაიდინა სსკ-ის 344-ე (სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ კვეთა) და 362-ე (ყალბი დოკუმენტის დამზადება, გასაღება, გამოყენება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული.[114]

შესახებ http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsaertashoriso-dep%2FadamianiT_vaWrobi_msxverplTa_identificirebis_erTiani_standartebi_da_wesi_470d.pdf

[110] სსსკ-ის მუხლი 56

[111] იხ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 13,14, 16

[112] იხ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 12

[113] მსხვერპლის დაკითხვის მეთოდიკის შესახებ სახელმძღვანელო პრინციპები

[114] სსკ მუხლი 344, 362; საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 15

ტრეფიკინგის მსხვერპლის ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სახელმწიფო. თუ არსებობს საფრთხე დაზარალებულის სიცოცხლის მოსოპობის, ჯანმრთელობის დაზიანების შესაძლებელია დაზარალებულის მიმართ, სსსკ-ის გათვალისწინებული დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება.[115]

ტრეფიკინგის მსხვერპლის შესახებ ინფორმაცია კონფიდენციალურია. პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს მიერ, ტრეფიკინგის კვალიფიკაციით წარმოებულ სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა თუ სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არ უნდა შეიცავდეს ტრეფიკინგის მსხვერპლის პერსონალურ მონაცემებს, მაგ. სახელს და გვარს. ტრეფიკინგის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით, ტრეფიკინგის ფაქტების განხილვა სასამართლოში შესაძლებელია წარიმართოს დახურულ სხდომაზე სასამართლოს ინიციატივით ანდა პროკურორის, დაზარალებულის ან მისი წარმომადგენლის შუამდგომლობით.

ასევე, სახელმწიფო ტრეფიკინგის მსხვერპლს უზრუნველყოფს სახელმწიფო თავშესაფრით სარგებლობის შესაძლებლობით. კერძოდ, სხვა ქვეყნის მოქალაქე ანდა მოქალაქეობის არ მქონე ტრეფიკინგის მსხვერპლებს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების ან პროცესის მწარმოებელი ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე მიეცემა ბინადრობის ნებართვა პროცესის დასრულებამდე, ანუ გამოძიების ანდა სასამართლო განხილვის დასრულებამდე.[116]
სახელმწიფო მსხვერპლს უწევს სამედიცინო - ფსიქოლოგიურ მომსახურებას. ასევე ეძლევა ერთჯერადი კომპენსაცია. სახელმწიფო უზრუნველყოფს მსხვერპლთა სხვადასხვა პროფესიულ და საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვას, მისი ეფექტური რეაბილიტირების მიზნით.[117]

---

[115] სსსკ-ის 67-71 მუხლები

[116] იხ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, 20,21[4] მუხლები

[117] იხ. საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, მუხლი 16-19